# გილოცავთ ნათლისღებას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა

სამტომეულის პირველი ტომი

8 ლარი




19 — 20 იანვარი, 2013 №15 (6016) ფასი: 30 თეთრი



გვ.3

## რუსუდან შარაძე: მამაჩემი გიორგი ბარათელს არ მოუკლავს

## „ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ახალი საქმე იკერება“

გვ.2

ანი ნადარეიშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს



## ახმედ ჩატაევი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

გვ.4





## სააკაშვილი და უგულავა არაბეთში გაემგზავრნენ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა გუშინ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გაემგზავრნენ.

თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტი მიზნად, თბილისში, შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების განახლებაზე მოლაპარაკებების გამართვას ისახავს.

ვიზიტის შესახებ მეტი ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება.

ნიუსპრესი



გვ.6

## დასავლური რეალობა ანუ ქვაციხის გაკვეთილი





გვ.4

## ზვიად ძიძიგური: „ჩვენ არ გვჭირდება კონსტიტუციური რყევები“



გვ.5

## ფანჯიკიძე უმცირესობას თებერვალში შეხვდება



## ნათესავები დედ ჰასანის დაკრძალვის ადგილზე ვერ თანხმდებიან

გვ.12

9 771987 938006

## ყაზბეგში ათის ნაცვლად მხოლოდ 3 ჰესი აშენდება

გვ.2





გვ.5

## პრესას ყველა სოფელში მივიტანთ!

# „ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ახალი საქმე იკერება“

## ანი ნადარეიშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება გრძელდება. დაკავებულებზე თუ გაქცეულებზე ათასგვარ საშინელებებს ვისმენთ. ზოგი ისეთი საშინელი ამბავია, დაჯერებაც კი ჭირს.**



ყველაზე ბევრს ბაჩო ახალაიაზე საუბრობენ. მას უამრავ რამეს აბრალებენ. საინტერესო ისაა, რომ ნაციონალები მის სახელს იშვიათად ახსენებენ. ვანო მერაბიშვილმა თითქმის ყველა დაკავებაზე გამოხატა აღშფოთება. ახალაიასთან დაკავშირებით კი ენაც არ დაუსველებია.

მათ შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამაზე სხვა დროს. ახლა კი იმ განცხადებაზე ვისაუბროთ, რომელიც 18 იანვარს ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა გაავრცელა. ყოფილი მინისტრის მეუღლე ამტკიცებს, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ახალი საქმე იკერება.

– საზოგადოებას მინდა მივაწოდო ინფორმაცია, დაახლოებით ერთი კვირის წინ, იუსტიციის სამინისტროში შემდგარ შეხვედრასთან დაკავშირებით.

სანდო წყაროს ცნობით, მთავარი პროკურორის მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილის ორგანიზებით მთავარ პროკურატურაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ რამდენიმე მაღალი რანგის პროკურორი. შეხვედრის მიზანი იყო ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმეების ხელოვნურად შეკერვა.

ნაცვლიშვილმა გასცა მკაცრი ბრძანება, რომ ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევის ჩათვლით, უახლოეს პერიოდში ბაჩოს წინააღმდეგ წარდგენილი იყოს ახალი ბრალი.

პროკურორებმა მიიღეს მითითება, რომ ჩამოაყალიბონ მწყობრი ლეგენდა და ცრუ დასმენაზე წამომსვლელი ადამიანების მეშვეობით მოხდეს ჩვენებების ფალსიფიცირება. მთავარი პროკურორის მოადგილემ პროკურორები გააფრთხილა, რომ დავალების სრულყოფილად ვერ შესრულების შემთხვევაში, მათ დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა.

ცალსახაა, რომ ასეთი ტიპის ბრძანება შეიძლება მოდიოდეს პრემიერ-მინისტრისა და იუსტიციის მინისტრისაგან.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ სარჩულს შეიცავს და არავითარი საერთო არ აქვს კანონის უზენაესობასთან და სამართლიანობასთან, – აცხადებს ანი ნადარეიშვილი.

საგანგებო განცხადებაში ნადარეიშვილი ამბობს, რომ მის მეუღლეს ვერაფერს უმტკიცებენ. ეს კი მისი თქმით, ახალი ხელისუფლების მიმართ კითხვის ნიშნებს ბადებს.

– მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იუსტიციის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და მთავარი პროკურორი პირადად აწარმოებდნენ ბინძურ კამპანიას ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ და სასტიკ დანაშაულებში სდებდნენ ბრალს, რითაც პირდაპირ ზეწოლას ახდენენ გამოძიებასა და სასამართლოზე. საბოლოო ჯამში, მის წინააღმდეგ მტკიცებულებების გარეშე წაყენებულმა უსაფუძვლო ბრალდებებმა საზოგადოებას დაანახა ამ პირების განცხადებების სიცრუე.

ამან, ბუნებრივია, გამოიწვია პრემიერ-მინისტრის და ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობების პირების წუხილი. შესაბამისად მათ ჩათვალეს საჭიროდ, ლაშა ნაცვლიშვილის მეშვეობით, რომელიც ასეთი საქმეების ოსტატია, შექმნან ლეგენდა, – წერს ახალაიას მეუღლე.

ამავე განცხადებაში ანი ნადარეიშვილი იმ საქმეებზე საუბრობს, რაც მისი თქმით, ბაჩო ახალაიას მამულიშვილობას უსვამს ხაზს.

– მინდა ყველას ვუთხრა, რომ ბაჩოს პიროვნებაზე მეტყველებს ის ცვლილებები, რომელიც მან გაატარა სასჯელაღსრულების სისტემასა და თავდაცვის სამინისტროში და მის მიერ გაკეთებული საქმეები, ხოლო ის ამორალური ქმედებები, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო სჩადის, ფუჭია და მთავრობის წევრებისა და იუსტიციის სამინისტროს მაღალი თანამდებობების პირების ადამიანურ პრინციპებზე მეტყველებს, – ნათქვამია განცხადებაში.

მთავარი პროკურატურა ანი ნადარეიშვილის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს. სოციალურ ქსელებში კი ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი გნიასი მოჰყვა.

# ყაზბეგში ათის ნაცვლად მხოლოდ 3 ჰესი აშენდება

შორენა მარსაგიშვილი

**ამ დღეების განმავლობაში ახაეითხეე ღავნეიეთ იმ საფითხეებზე, ხაც ყაზბეგის ხაიონს ემუქიება. ხაიონს პიობლემებს ჰესების მშენებლობა უქმნის. ძველმა ხელისუფლებამ აქ 10 ჰესის აშენება გადაწყვიტა. საზოგადოებამ მხოლოდ სამი მათგანის შესახებ უწყოდა.**

არასამთავრობოები და გარემოს დამცველები ამ 3 ჰესის აშენებასაც აპროტესტებდნენ. არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ დაიფიცა, რომ მშენებლობას შეაჩერებდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, ისინიც ჰესებზე ოცნებობენ და ის კოჰაბიტაცია, რომელსაც ასე გვაძალებენ, სწორედ ამ ჰესების გარშემო მოინდომეს.

ამ კოჰაბიტაციაში მათ ხელს „მწვანე ალტერნატივა“ და ორგანიზაცია „სტეფანწმინდა“ უშლიან. მათი ორგანიზებით სპეციალური განხილვა გაიმართა, რომელსაც გარემოს დაცვის და ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

განხილვაში გარემოს დაცვის მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყაზბეგის მცხოვრებლები და საკითხით დაინტერესებული სხვა პირები მონაწილეობდნენ.

– ათივე ჰესი დერივაციული ტიპისაა, ანუ გაუწყლოების გამომწვევი და მდინარის უდიდესი ნაწილის კალაპოტიდან მილებსა თუ გვირაბებში გადაგდებას გულისხმობს. პროექტების განხორციელებით, ყაზბეგის რაიონის მდინარეები სოფელ ჯუთიდან და თრუსოს ხეობიდან დარიალის სასაზღვროგამშვებ პუნქტამდე მილებში იქნება მოქცეული, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ყაზბეგის ბუნებას. ამ ფონზე, კონტრაქტორი კომპანია, საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მოგების გადასახადს გადაუხდის, შემოსავლის გამოყენება მას თავის სასარგებლოდ შეეძლება, – აღნიშნა „სტეფანწმინდას“ წარმომადგენელმა შოთა ბუჩუკურმა.

გარემოსდამცველებმა ის მიმართვები და განცხადებებიც წარმოადგინეს, რომლებიც არაერთხელ გაუგზავნეს როგორც ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სამინისტროებს, ისე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ეს განცხადებები მედიასაშუალებებმაც არაერთხელ გამოვაქვეყნეთ, მაგრამ ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

შეხვედრას გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძეც ესწრებოდა, რომელიც ცოტა ხნის წინ აღშფოთებისგან იცინოდა, რა გამიწყალეთ „დარიალიჰესით“ გულიო. ახლა ცოტა სხვანაირ განწყობაზე იყო მინისტრი. შეხვედრის მონაწილეებს თავიც კი შეაცოდა, ასეთ შავ დღეში წინა ხელისუფლებამ ჩაგვაგდოო.

– ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დამხვდა. იმ მემკვიდრეობის მიმღები ვარ იურიდიულად, რაც დამხვდა. მაშინ უნდა ვთქვა, რომ აი, ამას, ვერაფერს ვერ ვუზამ. ნამდვილად რთულ საქმეს ვარ შეჭიდებული და სწორედ თქვენი, ექსპერტების კონსტრუქციული შენიშვნების და წინადადებების საფუძველზე მაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ რაღაცებს წინ წავწევთ, – აღნიშნა ხათუნა გოგალაძემ.

თავისი სათქმელი თქვა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმაც. მისი განაცხადებით, ყაზბეგის რაიონში, „დარიალი“ და „ლარსიჰესის“ გარდა დაგეგმილი კიდევ 7 ჰესიდან, მხოლოდ ერთი, „ჯუთაჰესი“ აშენდება.

– კონტრაქტორმა გვითხრა, რომ მან დაკარგა სურვილი შეისწავლოს 32 ჰესიდან 23 ჰესი და მხოლოდ და მხოლოდ დაიტოვა 9 ჰესი. ამ 9 ჰესში არის მხოლოდ „ჯუთა ჰესი“ დარჩენილი. მთავრობის სხდომაზე გასულია ეს ყველაფერი. ჩვენ ვუთხარით, რომ დაეტოვებინათ ყველა, მაგრამ მან უარი განაცხადა, – თქვა ელოშვილმა.

შეხვედრაზე „მწვანე ალტერნატივამ“ თავისი დასკვნა წარმოადგინა. დასკვნა უარყოფითია.

## „მწვანე ალტერნატივა" ისევ უკმაყოფილოა



– ძირითადი აქცენტი კეთდება მხოლოდ პროექტების დროულ განხორციელებაზე, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები კი იშვიათი გამონაკლისების გარდა, შესაძლოა ითქვას, რომ გათვალისწინებული არ არის. რჩება შთაბეჭდილება, რომ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებული ეკონომიკური ასპექტებიც კი არაა ბოლომდე შესწავლილი და ადეკვატურად შეფასებული, – ასეთია ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ შეფასება ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებელი შეთანხმებების ანალიზის შედეგად.

„ლიბერალის“ ცნობით, ასოციაციის ახალ ანგარიშში მთავრობასა და კომპანიებს შორის მემორანდუმების დადების სამართლებრივი საფუძველი და კომპანიებთან გაფორმებული 20-მდე ხელშეკრულება-შეთანხმების პირობების ანალიზია წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება დაასახელა, ჰიდროენერგეტიკულ პროექტების განსახორციელებლად მთავრობასა და ქართულ თუ უცხოურ კომპანიებთან 20-მდე ხელშეკრულება/მემორანდუმი დაიდო. მათ შორის მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის შესახებ, ნაწილის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი დაგეგმვის ეტაპზეა.

„მწვანე ალტერნატივის“ დასკვნით, ამ მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების განხორციელებით, საქართველოს ბიუჯეტი უშუალო და პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს კონკრეტული მოგების სახით არ მიიღებს. გარკვეული სარგებელი იქნება წარმოებული ელექტროენერგიის შემდგომი რეალიზაციიდან, ძირითადად გადახდილი გადასახადების სახით, თუმცა იმის გამო, რომ ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი საექსპორტოდაა გამიზნული, საგადასახადო კოდექსით კი ელექტროენერგიის ექსპორტი პრაქტიკულად არ იბეგრება, ამ კუთხით მნიშვნელოვანი მოგების მიღება წარმოუდგენელია. თავად ელექტროენერგიის რეალიზაციით მიღებული სარგებელი კი, საბოლოო ჯამში, საქართველოს ფარგლებს გარეთ გავა.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის პერიოდში კომპანიებს აქვთ ვალდებულება, პირველ რიგში საქართველოს მიაწოდონ ელექტროენერგია, ეს მის დადგენილ ტარიფზე დადებითად ვერ იმოქმედებს.

შეთანხმებების პირობების ანალიზით ირკვევა, რომ კომპანიებს არ აქვთ ვალდებულება, რომ პროექტების განხორციელებისას, თუნდაც მშენებლობისას ადგილობრივი კადრები დაასაქმონ, რაც ხელს უწყობს მათ დაბალფასიანი უცხოური ან პირიქით, მაღალკვალიფიციური მუშახელი გამოიყენონ. განხორციელების პროცესში არც ადგილობრივი კომპანიების ჩართვის ვალდებულება არსებობს, უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ საქონელი და მომსახურება კვლავ არაქართული კომპანიებისგან შეიძინონ ან საერთოდაც დაბალხარისხიანი მოძველებული ტექნოლოგიები დანერგონ.

ორგანიზაციის წარმომადგენლები პროცესის გაუმჭვირვალობაზეც საუბრობენ:

– არ არსებობს დათქმა, პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. არსებობს იმის ალბათობა, რომ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების გამო საზოგადოების წარმომადგენლებს არ მიეცემათ საშუალება, სათანადოდ მოახდინონ კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული უფლებების რეალიზება, – ვკითხულობთ ორგანიზაციის ანგარიშში.

მათი განმარტებით, დიდია ალბათობა, რომ გაიზრდება გარემოს დეგრადაციის ხარისხიც, ვინაიდან გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და სამინისტრო, მისი ფუნქციების მხრივ, საქართველოში მეტად სუსტია.

გარემოსდამცველები ყურადღებას იმაზეც ამახვილებენ, რომ ქვეყანაში არ არსებობს განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების მარეგულირებელი პოლიტიკა და სავალდებულო სტანდარტები, რის გამოც საფრთხე იქმნება, რომ ამ პროექტების განხორციელებას ადამიანის უფლებათა, განსაკუთრებით კი, მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები დაირღვევა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გულიკო ბალაძე

# რუსუდან შარაძე: მამაჩემი გიორგი ბარათელს არ მოუკლავს



სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ ერთი მსხვერპლი აკადემიკოსი გურამ შარაძეა, რომლის მკვლელობის საქმეც ისევ გამოსაძიებელია

ორი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებულ გიორგი ბარათელს ახალი ბრალი წაუყენეს, რომელიც 3-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გიორგი ბარათელი საკაშვილის სასამართლომ გურამ შარაძის მკვლელობის ბრალდებით გაასამართლა და 27 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და საკაშვილის რეჟიმი ნაწილობრივ გააუვნებელყვეს, ბარათელმა განაცხადა, რომ გურამ შარაძე მას არ მოუკლავს.

გურამ შარაძის მკვლელობაში ბრალდებულმა ისიც განაცხადა, რომ მკვლელობის აღიარება სასამართლოზე მისი სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის იყო აუცილებელი.

„ენა, მამული, სარწმუნოების" ლიდერი, აკადემიკოსი გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს, დაახლოებით 8 საათზე, თბილისში, მელიქიშვილის გამზირისა და შანიძის ქუჩის კვეთაში, ხალხმრავალ ადგილას გამოასალმეს სიცოცხლეს.

მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოკლულის ვინაობის გარკვევა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მოკლულს ჯიბეში დოკუმენტები აღმოუჩინეს. მას თავის არეში რამდენიმე ტყვია მიბჯენით ჰქონდა ნასროლი და იმის გამო, სახე ძალიან დაუზიანდა. ამიტომ მისი ამოცნობა შეუძლებელი იყო.

თვითმხილველთა განცხადებით, უცნობი, რომელმაც გურამ შარაძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიბჯენით ესროლა, მანამდე მას ესაუბრებოდა.

თვითმხილველების თქმითვე, პირველ გასროლას, კიდევ ოთხი მოჰყვა და ამის შემდეგ უცნობი ადგილიდან გაიქცა.

ოფიციალური ცნობებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე წუთში, მრგვალ ბაღთან დააკავეს. გაქცეულს პატრულის ის ეკიპაჟი დაეწია, რომელიც სროლას შეესწრო. პოლიციისავე ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილმა, 29 წლის ბარათელმა დანაშაული დაკავებისთანავე აღიარა. შს სამინისტრო ბარათელის ბრალეულობაში იმთავითვე დარწმუნებული იყო. მიუხედავად შეპირებისა, ბარათელის აღიარება სასამართლომდე ოფიციოზს არ უჩვენებია. ბარათელი დუმილის უფლებას იყენებდა.

წინასწარი გამოძიების პერიოდში გახმოვანდა ინფორმაცია, რომ გიორგი ბარათელი გურამ შარაძის მკვლელობას კატეგორიულად უარყოფდა. დაღუპული გურამ შარაძის ოჯახიც თავიდანვე აცხადებდა, რომ ბარათელი ამ მკვლელობაში გარეული არ იყო.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რაც ბარათელმა განაცხადა, რომ ის ამ მკვლელობაში გარეული არ არის, გურამ შარაძის ქალიშვილმა რუსუდან შარაძემ ბარათელთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი მას შეპირდა შეხვედრის ნებართვას, თუმცა, ბოლოს უარი მიიღო.

ორი დღის წინ, რუსუდან შარაძე პროტესტს გამოთქვამდა სასჯელაღსრულების გლდანის დაწესებულებასთან, სადაც ამჟამად ბარათელი იმყოფება.

პროტესტის საფუძველი ბარათელისთვის ახალი ბრალის წაყენება გახდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით რუსუდან შარაძეს, რომელთანაც უცხოეთში გამგზავრების წინ ინტერვიუ ჩავწერეთ.

***— ქალბატონო რუსუდან, წლები გავიდა და ბატონ გურამ შარაძის ტრაგიკული დაღუპვის რეალური გარემოებების გარკვევა ვერ მოხერხდა და სათანადო ორგანოებმა ამ საშინელი მკვლელობის გამოძიების დამაჯერებელი მასალები ვერ დადეს. წინა ხელისუფლებამ საზოგადოებას შეთხზული ვერსია შესთავაზა. ახლა რა ხდება, რატომ ვერ ხერხდება ამ საქმესთან დაკავშირებით სიმართლის გამოაშკარავება?***

— აქამდე ეს ვერ მოხდებოდა და რეალურ ფაქტებს წინა ხელისუფლება ვერ დადებდა, რადგან წინა ხელისუფლება თავადაა მკვლელი, მკვლელობის შემკვეთიც და შემსრულებელიც. ამიტომ თავის თავს არ დაიჭერდნენ. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ეს მკვლელობა გამოძიებული იქნება, ამის იმედი ერთი წამით არ დამიკარგავს. მიუხედავად დაბრკოლებებისა, მიუხედავად შეგნებული თუ შეუგნებელი წინააღმდეგობებისა. ამ შემთხვევაში პროკურატურის მიმართ საყვედური არ მეთქმის, რადგან საკაშვილს აქვს მიღებული დრაკონული კანონი. მარტივად, ჩემი ენით რომ გითხრათ, შინაარსი ასეთია, საქმე როცა დახურულია, ძიების თავიდან დაწყება თითქმის შეუძლებელია. მთლად შეუძლებელი არაფერია. თებერვალში ეს კანონი შეიცვლება და როგორც სხვა საქმეები, ისე მამაჩემის მკვლელობის საქმე დაბრუნდება ძიებაში. თუმცა, იქამდე ჩვენ პროკურატურაში შევიტანეთ უამრავი მტკიცებულება (განცხადებები და უტყუარი მასალები) და დღე-დღეზე ველოდებით, რომ გამოძიება დაიწყება.

***— ანუ პროკურატურას ახალი გარემოებების შემცველი მასალები გადაეცით.***

— დიახ. პროკურატურას არაერთი ასეთი დოკუმენტი გადავეცით.

***— კერძოდ, რა მასალებია, შეგიძლიათ გვითხრათ?***

— ეს არის მოწმეთა დაკითხვის ოქმები. პირველად (ეს არასოდეს ღიად არავის უთქვამ) ახლა შევიტანეთ.

***— მოწმეები აქამდე დაკითხულები არ იყვნენ?***

— არა, არ იყვნენ დაკითხულები. ეს ადამიანები დღემდე არავის დაუკითხავს. თან მკვლელობის შემდეგ, ჯერ მამაჩემი დასაფლავებული არ იყო, რომ ეს ხალხი ჩემთან მოვიდა და მითხრეს, რა ნახეს საკუთარი თვალით. ისინი მზად იყვნენ მიეცათ ოფიციალური ჩვენება, მაგრამ მოგეხსენებათ, რა დრო იყო. ამიტომ კატეგორიული წინააღმდეგი წავედი, მათ ჩვენება რომ მიეცათ. გამორიცხული იყო, საკაშვილის პროკურატურასა და სასამართლოს საქმე ნორმალურად გამოეძიებინა, ამიტომ ამ ხალხის, მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგებოდა.

***— ანუ თქვენ მაშინვე დარწმუნებული იყავით, რომ ეს ხელისუფლების ნამოქმედარი იყო?***

— დიახ. მამაჩემის მკვლელობა ხელისუფლების ჩადენილი რომ იყო, ამაში პირველი წამიდან ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ მერე ნელ-ნელა, დროდადრო ფაქტობრივი მასალებით, ფაქტობრივი მტკიცებულებებით გამყარდა.

***— მაშინ რა გაძლევდათ ამაში დარწმუნების საშუალებას?***

— დარწმუნების საშუალებას მაძლევდა ის, რომ პირველ რიგში, მე ძალიან კარგად ვიცოდი გიორგი ბარათელისა და ჩემი ძმის დამოკიდებულება თავის დროზე, როცა ჰქონდათ ურთიერთობა. ვიცოდი, რომ მამაჩემის მკვლელობამდე, ბოლო 7 წლის განმავლობაში, არა თუ ურთიერთობა ჰქონდათ, არამედ ერთმანეთი თვალითაც კი არ უნახავთ და გიორგი ბარათელს მამაჩემის მკვლელობის არავითარი მოტივი არ ჰქონდა. ასევე ძალიან კარგად ვიცოდი, როგორი იყო საკაშვილის დამოკიდებულება გურამ შარაძის პიროვნების მიმართ. ძალიან კარგად ვიცოდი ის თემები, რომელიც სისხლხორცეულად იყო მამაჩემთან დაკავშირებული, რაც საკაშვილისთვის იყო მიუღებელი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – გლდანის ეკლესიაში შევარდნიდან, რელიგიიდან დაწყებული, დამთავრებული თურქი მესხების, ლევილის საკითხითა და ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ეს არის განძი, რომელზეც ამბობენ, რომ ეროვნული განძი გატანილია საქართველოდან და რომ განძი მამაჩემის მკვლელობიდან ძალიან მალე გაიტანეს.

***— ფაქტობრივ მასალებში რას გულისხმობთ?***

— ფაქტობრივ მასალაში ვგულისხმობ, მაგალითად, ფირს, რომელიც თავიდან ბოლომდე შევისწავლე და ჩემი ეჭვი გამიმყარდა. შევისწავლე „ალდაგის" ფირები, ყველა კადრი ამოვიღე. შევისწავლე საქმის მასალები და, მეტ-ნაკლებად, ჩემი არაპროფესიონალიზმის მიუხედავად, მივხვდი და თვალნათელია, რომ საქმე არის შეკერილი. მესამეა მოწმეთა ჩვენებები. გამოჩნდა არა მხოლოდ 2 და სამი მოწმე, არამედ უფრო მეტნი არიან. ისინი თავიდანვე მოვიდნენ ჩემთან, მათ მომძებნეს (ზოგი – ნაცნობია, ზოგი – უცნობი) და მიამბეს, რაც ნახეს საკუთარი თვალით. ჩემი ღრმა რწმენით, რაც აუცილებლად დადასტურდება, საქმეში არის ორი მკვლელი და ორი იარაღი. „ალდაგის" ფირები მაჩვენეს მკვლელობიდან 45 დღის შემდეგ, კარგად გამოშიგნული, ერთ მხარეს გაფუჭებული, გაუბედურებული, მაგრამ საკმარისზე მეტი, სულ ცოტა იმის დასადგენად, რომ იქ გიორგი ბარათელი საერთოდ არ იმყოფებოდა მკვლელობის მომენტში. ექსპერტიზამ დადო დასკვნა, რომ ეს ფირი უვარგისია. თუმცა, ყველა წესით, ეს ფირი საქმეში უნდა იყოს ჩაკერებული. მე სხვა ფირებთან ერთად, პროკურატურისაგან ვითხოვ, ჩატარდეს ამ ფირის ექსპერტიზა. ვითხოვ დამკითხონ. დაკითხონ ის მოწმეები, რომლებიც თავადაც ითხოვენ დაკითხვას, გამოიძიონ, 2007 წლის 20 მაისს, გურამ შარაძის მკვლელობიდან რამდენიმე წამში, რატომ გაჩნდა შოთა ხიზანიშვილი? რატომ აკონტროლებდა იქ, ვინ რას იტყოდა, რატომ აკონტროლებდა ცრუ მოწმეებს რობერტ ბალიევს და ზვიად ბოჭორიშვილს. ესენი არიან პატრულის ცრუ მოწმე თანამშრომლები, რომელთა საფუძველზე დააკავეს უშუალოდ გიორგი ბარათელი. ეს არის ორი ცრუ, არაკაცი ამბობს, რომ ბარათელი დაინახეს სროლის მომენტში. ამ დროს ბარათელი ყვება, რომ მამაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა დააკავეს თელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, აიყვანეს თბილისის ზღვაზე, სადაც 30 კაცი სცემდა. აიძულებდნენ ეღიარებინა გურამ შარაძის მკვლელობა. საერთოდ აზრზე არ იყო, რა ხდებოდა, ეგონა, რომ მამაჩემი უკვე მოკლული ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ბარათელმა არ აღიარა მკვლელობა. იქვე დაჭრეს. მერე წაიყვანეს და მოათავსეს ფარეხში, მერე სადღაც პოლიციაში კიდევ სცემეს და მკვლელობის შემდეგ, როდესაც მკვლელები სამშვიდობოს გავიდნენ, მიიყვანეს ვერაზე და შემდეგ მოახდინეს ინსცენირება, თითქოს მკვლელი დააკავეს. ასეა საქმე თეთრი ძაფით ნაკერი. მოვითხოვ, დაიკითხოს შოთა ხიზანიშვილი ამ საქმეზე.

***— ხიზანიშვილი მაშინ შს მინისტრის მოადგილე იყო.***

— ხიზანიშვილი მაშინ იყო მინისტრის მოადგილე და დეპარტამენტის თავმჯდომარე. მე მაქვს იმ პერიოდში „დროების", „კურიერის", პოსტსკრიპტუმის" სატელევიზიო ეთერებში გასული გადაცემების კადრები, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე წუთში გავიდა ეთერში. ამ კადრებში ძალიან ბევრი ფაქტობრივი მასალაა. მე ვითხოვ, რომ გამოიკვლიონ სატელევიზიო ეთერში გასული სიუჟეტები.

***— მეც ტელევიზიით გავიგე ამ მკვლელობის თაობაზე და ნამდვილად შოკისმომგვრელი იყო.***

— ვითხოვ, დაიკითხოს პროკურორი გიორგი ჩივიაშვილი. ეს არის ნაძირალა კაცი, რომელიც ბარათელს აიძულებდა, ხელი მოეწერა აღიარებით ჩვენებაზე და თან ცინიკურად ეუბნებოდა, ძალიან კარგად იცის, რომ არაფერ შუაში არ არის, მაგრამ ზემოთ უნდათ ასეო.

***— ზემოთ ვის უნდა, ბარათელმა თავის თავზე აიღოს მკვლელობაო, არ უთქვამს ჩივიაშვილს?***

— ჩივიაშვილს არ უთქვამს. ალბათ არ უკითხავს ბარათელს, ზემოთ ვის უნდა, რომ მე ავიღო თავზე ეს მკვლელობაო, თორემ ამასაც იტყოდა, რადგან გაჯეჯილებულები იყვნენ, ეგონათ, რომ პასუხი არასოდეს მოეთხოვებოდათ. ამიტომ, ასე დემონსტრაციულად დახვრიტეს მამაჩემი. სწორედ ამ იმედით ფიქრობდნენ, რომ ხელშეუხებლები იქნებოდნენ. სხვანაირად ამდენ მტკიცებულებას გვერდს ვერ აუვლიდნენ და ამდენი ხალხის თვალწინ, კამერის თვალწინ, ადამიანის დახვრეტას ვერ ჩაიდენდნენ.

***— მაინც რატომ ეგონათ, რომ ასეთი ცნობილი ადამიანის, აკადემიკოსის მკვლელობა შერჩებოდათ და რატომ ვერ გრძნობდნენ, რომ ეს ასე არ გაგრძელდებოდა?***

— იმიტომ, რომ საკაშვილი არის მოძალადე. ეს იყო ძალადობასა და ტერორზე დამყარებული რეჟიმი. რა, ვერ მოერივნენ? ხალხი ფეხქვეშ გაიგდეს. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ქართველი ხალხი შეიძლება ძალიან მალე აღარც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, გადაშენების გზაზე ხომ დააყენეს?! ხალხი გააუბედურეს, ღირსება აყარეს. რომელ ვაჟკაცობაზეა ლაპარაკი, გმირობა ძალიან იშვიათი ხილი გახდა. შეხედეთ, რა დამართეს ქვეყანას, ვინ ამოიღო ხმა? ვინ იბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ერთი პიროვნება დამისახელეთ, ვინც საკაშვილს ბოლომდე შეეწინააღმდეგა. არავინ არ მეგულება ისეთი, რომ ხმალამოღებულს ებრძოლა საკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. რელიგიის კანონი რომ მიიღეს, ვინ ამოიღო ხმა? გურამ შარაძე ამაზე გაჩერდებოდა? ბაგრატის ტაძარს რა უქნეს, ერთი კაცი ქუჩაში გამოვიდა? ბაგრატსაც შეეხნენ და რას არ შეეხნენ, ვინმემ ამოიღო ხმა, ერმა ან ბერმა?

ასევე ვითხოვ დაიკითხოს გიორგი ჩიხლაძე, რომელიც არის ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირი, რომელიც, მით უმეტეს, როგორც პოლიტპატიმარი, ისე გამოვიდა ციხიდან რამდენიმე დღის წინ.

***— ამ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით კიდევ რა დაბრკოლებებია, რომელზეც თქვენ ახლა საუბრობთ?***

— ეს არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომელსაც, კონკრეტულად, მე დღეს ვერაფერს დავაბრალებ, მაგრამ იკვეთება დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. ბარათელს რომ ახლა ახალი ბრალდება შეუთითხნეს, ძალიან მაინტერესებს, ბარათელის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, იგივეს გაუკეთებდნენ? ფირს აჩვენებენ, სადაც ჩანს, რომ კი, ეხება კაცს, მაგრამ რეაქცია არ აქვს. მოიხედა გაკვირვებულმა, როცა მცირედ რაღაც მიაჯახა თუ რაღაც მიარტყა. კაცი ამბობს, არაფერი არ უგრძნია, გარდა მიჯახებისა. მიუხედავად ამისა, ღამის 10 საათზე გამოიყვანეს საკნიდან, წაიყვანეს ექიმთან, ჩაატარებინეს ექსპერტიზა. არაფერი ტკივილი არ მაქვსო, იძახდა, არაფერი მჭირსო.

***— ბრალში რა წერია?***

— აკრძალული ნივთით სხეულის დაზიანება.

***— ინტერესი რა იყო, ბარათელს რატომ უნდა გაეკეთებინა ეს?***

— ეს შედის მხოლოდ და მხოლოდ საკაშვილის ინტერესში, რომ კაცი მიიყვანონ თვითმკვლელობამდე და შემდეგ ისე შეკერონ საქმე, თითქოს თავი მოიკლა. გიორგი ბარათელი არის გურამ შარაძის მკვლელობის მთავარი მოწმე, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ ეს მკვლელობა არ ჩაუდენია და ამის დადასტურება ძალიან მარტივად შეუძლია, რაც არ აწყობს იმ ხალხს, რომელიც მას აწამებდა. მათი უმეტესობა დათა ახალაიას მარჯვენა ხელია. გიორგი ბარათელის სიცოცხლე არ აწყობთ მკვლელებს. დღევანდელ ხელისუფლებაში ამას ვინ უწყობს ხელს, ამაში აუცილებლად დავრწმუნდები ძალიან მალე და ღიად განვაცხადებ.

***— ე.ი. დაინტერესებული პირები კიდევ არიან ხელისუფლებაში?***

— რა თქმა უნდა. დაინტერესებული პირები კიდევ არიან კი არა, ნახევარზე მეტი საკაშვილის ხალხია. მე რა ვიცი, ზემდგომში რა ხდება? რის უნდა მჯეროდეს? ხალხი, რომელიც საკაშვილს ქვეშ ეგებოდა, ამდენი წელი ვითომ ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ფეხებს ბანდნენ საკაშვილს. მე იმ ხალხის როგორ უნდა ვირწმუნო? შარშან, იმის წინ და 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებს რომ ულოცავდნენ და ფეხქვეშ ეგებოდნენ, რა სჯიდათ? რისთვის, რატომ, რის ხარჯზე? იქნებ დღესაც ასე ხდება, მე რა ვიცი?

***— ქალბატონო რუსუდან, წავიკითხე, ჯაგრისზე რაღაც ნემსივით იყოო. რა იყო ჯაგრისზე, რაზეა საუბარი?***

— ორთაჭალის ციხის უფროსობამ ამ ნივთზე თქვა, რომ კბილის ჯაგრისზე წამოცმული ლურსმანი იყო. გუშინდლამდე ამას სოზარ სუბარი (როგორც ოფიციალურად, ასევე მე, პირადად მითხრა) უწოდებდა წათლილი კბილის ჯაგრისს. მაშინ სოზარ სუბარი ამბობდა, რომ ლურსმანი არ იყოო. გუშინ სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ეს იყო კბილის ჯაგრისზე დამაგრებული ლურსმანი. აქამდე რომ ვეკითხებოდი, კბილის ჯაგრისი იყო თუ ლურსმანი, კბილის ჯაგრისიო, მეუბნებოდა. გუშინ უცებ აღმოჩნდა, რომ თურმე ნამდვილად არის რაღაც შტირი. მე არ ვიცი, რა არის შტირი, მაგრამ შტირი ფიგურირებს საქმის მასალებში. ბარათელი კატეგორიულად უარყოფს ამას იმიტომ, რომ დღეში რამდენჯერმე ტარდება ჩხრეკა. იმ დღესაც, 27 ნოემბერს, როცა ეს ამბავი მოხდა, დილითაც ჩატარდა და შემდეგაც. გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ უბრალოდ ხელით ეხება. ეს იმის საფუძველია, რომ ადამიანს 3-დან 6-წლამდე პატიმრობა დაუმატო? მით უმეტეს, რომ იქ არავითარ დაჭრას და არავითარ დაზიანებას ადგილი არ ჰქონია, არც სტკივა და არც არავითარი რეაქცია არ ჰქონია. უბრალოდ, ვერ ხვდება, რა ხდება. მისი ჩვენება ნახეთ. ბოდის ვიხდი, სიტყვაზე ვამბობ, ვთქვათ, კაცს მიაყენეს სხეულის დაზიანება. გასაკვირი არის რამე? 6 წლის განმავლობაში კაცი ჯოჯოხეთში ჩააგდეს. ყოველ დღე სიკვდილს ელოდებოდა. სამი თვეა სიმართლე გაამჟღავნა და კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს.

***— ახლაც ხომ არ ელოდება სიკვდილს? ამას იმიტომ გეუბნებით, ხომ იციან, რომ ის არის მთავარი მოწმე ამ საქმეში?***

— რატომ არ ელოდება? რა გარანტია გვაქვს, ვინ უდგება ბარათელს გარანტად, რომ მისი სიცოცხლე დაცული იქნება? ვისი უნდა მჯეროდეს და ვისით უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ ბარათელს თმის ღერი არ ჩამოუვარდება. ვისი იმედი უნდა მქონდეს? რამდენ ადამიანს მოაკვლევინეს თავი საკანში და რეები ჩაუდენიათ? შეიძლება უბრალოდ, საჭმელში შეაპარონ რამე. ციხის ადმინისტრაციაში და ქვემდგომ ინსტანციაში მე რა ვიცი, ვინ არის. თუნდაც ზემდგომში, მე დღემდე არ ვიცი, ვინ ვინ არის. მაია ხასია, რომელმაც ბარათელზე საერთოდ არაფერი გაარკვია. როგორც ვიცი, მაია ხასია ზურაბ ადეიშვილის დროს იყო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ციხეებში მონიტორინგს ატარებდა და წერდა, რომ ციხეში ყველაფერი გადასარევადაა. საკაშვილის რეჟიმის პირობებში ციხეებში რა ხდებოდა, ჩვენ იმის ზღვაში წვეთი ვნახეთ. მაია ხასია კი ასეთ დასკვნებს ადეიშვილის დავალებით აკეთებდა. მაია ხასიამ არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეში? აქედან გამომდინარე ამ ქალის უნდა მჯეროდეს? გასაგებია, რომ ძველ კადრებს ხელის ერთი მოსმით მთლიანად ვერ გაათავისუფლებ, მაგრამ ადეიშვილის მომსახურე პერსონალს რატომ ნიშნავენ ამხელა თანამდებობაზე?!

***— ცალკე საკანში რატომ არ გადაჰყავთ?***

— ახლა ცალკეა. რაც ორთაჭალიდან გლდანში გადაიყვანეს, ბარათელს ცალკე ყოფნა მოუთხოვია, ადვოკატმა მითხრა, ტელევიზორიც დაუდგეს. კაცი ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანეს და დიდი შეღავათია, რომ ტელევიზორი აქვს საკანში. ახლა თუ კიდევ მიუსაჯეს, ბარათელი ციხიდან გამოვა 2036 წელს.

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, რა შეფასებას მისცემდით მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს, როგორ გაიგეთ თქვენ მისი ინიციატივები?***

— მთელი საქართველო ხედავს, რომ სააკაშვილი თავისი განცხადებებით, თავისი წყევლა-კრულვითა და წონასწორობადაკარგული გამონათქვამებით გუშინდელი დღეა ჩვენი საქართველოსთვის. მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური ძალაუფლება ხალხმა ჩამოართვა და ის ვერ აცნობიერებს, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია. ერთი, რაც არის ფაქტი, ვფიქრობ, რომ მის გუნდშიც არიან ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს ხედავენ საკმაოდ რეალურ ფერებში და მხოლოდ იმ ნაწილის, ასე ვთქვათ, თანაგრძნობას იმსახურებს მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მის გარეშე არანაირი პერსპექტივა არ აქვს. მხედველობაში მყავს, თავისუფლების ინსტიტუტიდან მოყოლებული, ის ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც საზოგადოებაში მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ. ვფიქრობ, ეს არის ერთგვარი გასავლელი ეტაპი, ვინაიდან საქართველოს არ გაუვლია ასეთი ტიპის ეტაპი, როდესაც არჩევნების შემდეგ ძველი ხელისუფლების ნარჩენები დარჩა და დღეს თავისი ხელისუფლების რეაბილიტაციას, რესტავრაციას ცდილობს მიხეილ სააკაშვილი. ეს ეტაპი სრულიად ახალი ხილია საქართველოსთვის. ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობამ საჭირო დროს პროცესებს გასცა სწორი პასუხი, ამ ყველაფერსაც შესაბამის პასუხს გასცემს.

***— ბატონო ზვიად, ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გალანძღა სააკაშვილმა პროკურატურა და დანაშაულის ჩადენა დასდო ბრალად.***

— პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების, იუსტიციის სამინისტროს, პარლამენტის ლანძღვა. სწორედ ამას ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილისგან ეს სრულიად არაადეკვატური საქმიანობაა, სრულიად არაადეკვატური ქმედებებია. გააგრძელოს, ეს მისი არჩევანია, შეუძლია, მოსახლეობაში თანაგრძნობა მოიპოვოს. მე ვფიქრობ, ამით არც პროკურატურას, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც პრემიერს არაფერი აკლდება. თუ ვინმე ზარალდება ამით, ზარალდება მიხეილ სააკაშვილი, ვინაიდან ისედაც გაცამტვერებული ნაციონალური მოძრაობისა და პირადად მის რეიტინგს კიდევ უფრო ანადგურებს. ეს მისი არჩევანია და ღმერთმა ხელი მოუმართოს. მე შემიძლია, მხოლოდ დამკვირვებლის როლში ვიყო ამ შემთხვევაში, რადგან არც ჩემს რჩევასა და არც გულისტკივილს ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

***— კანონში რომ ცვლილებების შეტანას ითხოვს, ვინ უნდა დაუჭიროს მხარი, მისმა უმცირესობამ?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. მას 9 წელი ჰქონდა, რომ ასეთი ტიპის ცვლილებები შეეტანა, სამხედრო პენსიონერებისთვის პენსიები მოემატებინა, ეკონომიკური დანაშაულებისთვის ამნისტია გამოეცხადებინა, მედიის განვითარებისთვის ხელი შეეწყო, სასამართლო განვითარებისთვის შეეწყო ხელი. ყოველივე ამისათვის 9 წელი ჰქონდა. ახლა მისი ისტერიკული ყვირილი არ შველის ამ საქმეს. ეს არის უკვე ინერციული ქმედებები, მისი ხელისუფლების საბოლოო დასასრულისკენ სვლა და აგონიური მდგომარეობა. მე საკმაოდ მშვიდად ვუყურებ იმას, რაც ხდება. მინდა, ვუთხრა ჩვენს მოსახლეობას, ყველას, ვისაც ხვალინდელი დღის იმედი აქვს, რომ ეს არის პერიოდი, რომელიც უნდა გაიაროს ჩვენმა ქვეყანამ. გაიმარჯვა საკანონმდებლო ხელისუფლებაში და აღმასრულებელი ხელისუფლება დააკომპლექტა ერთმა ძალამ. სააკაშვილი არის მეორე ძალის წარმომადგენელი და მას ძალიან უჭირს შეგუება იმ რეალობასთან, რომელშიც იმყოფება. მას არაერთხელ უთქვამს, სამი დღით რომ ვიყო ოპოზიციაში, ამ ხელისუფლებას დავამხობდიო. თავისივე ხელისუფლებაზე ამბობდა ამას. ეტყობა, ის ვნებები გაეღვიძა ახლა, რომლითაც თავის დროზე აპირებდა საკუთარი ხელისუფლების დამხობას. ახლა გადაწყვიტა, რომ არის პრეზიდენტიც, არის ოპოზიციაც, არის გარკვეული ბერკეტების მფლობელიც და ცდილობს, ხელისუფლება ისევ დაიბრუნოს, შექმნას ისეთი პოლიტიკური საფუძვლები, რომლის შემდეგადაც მთელი მსოფლიო ეტყვის, მიდი, მიშა, ჩვენ აგერ ვართო. ეს არის საკუთარი ამბავი, ასე არ მოხდება. ეს ეკუთვნის საქართველოში მიხეილ სააკაშვილისა და იმ რამდენიმე კაცის გარდა, რომლებსაც, თუ სააკაშვილი არ აეკიდებიან, ისე არანაირი შანსი არ აქვთ.

***— ეშინია, რომ ხალხი მისი გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში არ გამოვიდეს თუ რას მიანიშნებდა მისი განცხადება ხალხის ქუჩაში გამოყვანის თაობაზე?***

— ხალხი გამოვიდეს, არ გამოვიდეს, ეს ხალხის უფლებაა. ჩვენ ვართ, სამწუხაროდ, ისეთ მდგომარეობაში, როდესაც გვიწევს ხშირ შემთხვევაში უმცირესობის წარმომადგენლების დაცვა ხალხისაგან. მუდმივად არის ყვედრება, რომ, აი, თქვენ ორგანიზებას აწყობთ ჩვენ წინააღმდეგ და არავინ ამას არ აკეთებს. ჩვენ ამისთვის არც ენერგიის, არც დროის და არც ნერვების ხარჯვის ფუფუნება არა გვაქვს. ეს არის, უბრალოდ, ის მოსავალი, რომელიც მათ მოიმკეს. რა „სიყვარულიც“ დათესეს, რა საქმეებიც აკეთეს ამ ხნის განმავლობაში, ახლა უკან უბრუნდებათ ყველაფერი და ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარლამენტის წევრები, მაღალი თანამდებობის პირები ან თუნდაც სააკაშვილი არ იყოს დაცული კანონის მხრიდან. მინდა გითხრათ, რომ გუშინ ქუთაისში იყო საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა, სადაც მობილიზებული იყო, ფაქტობრივად, მთელი სამხარეო სტრუქტურები შინაგან საქმეთა სამინისტროსი და გუშინდელმა დღემ ჩაიარა ცხარე დებატების პირობებში, მაგრამ რაღაცა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები არ ყოფილა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ხელისუფლებაში ვართ და უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ხან სააკაშვილი გამოვა და ლანძღვას დაიწყებს და ხან უმცირესობის წევრები. ეს ძალიან ნორმალურია.

***— ბატონო ზვიად, საკონსტიტუციო ცვლილებებს რაც შეეხება, ეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვნახეთ, რომ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მწვავე დაპირისპირება მოჰყვა და, ფაქტობრივად, განხილვა ჩაიშალა. რა ეტაპზე ხართ ახლა?***

— დაპირისპირება დებატებს არ მოჰყოლია, დაპირისპირება მოჰყვა კონკრეტული პიროვნებების ზუგდიდში ჩასვლას. ამის გამო იყო პროტესტი და ჩვენ დაგვჭირდა ძალიან დიდი ძალისხმევა, რომ რაღაცნაირად მშვიდობიანად დაგვემთავრებინა ზუგდიდში შეხვედრა. ქუთაისში შეხვედრა დამთავრდა მშვიდობიანად. კი, დებატები იყო, საკმაოდ მწვავე გამოსვლებიც იყო, მაგრამ არავითარი კანონის გადაცდომა და კანონის საწინააღმდეგო ქმედებები არ ყოფილა. რაც შეეხება თავად საკონსტიტუციო ცვლილებებს, კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნების უფლება, რომ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები იყვნენ მუდმივად გზაში გაბმული. დღეში რამდენიმე საათს კარგავდნენ ქუთაისში ჩასვლა-ჩამოსვლაზე. არა გვაქვს არც იმის ფუფუნების უფლება, რომ დიპლომატიურ საქმიანობას პარლამენტი მოსწყდეს. პრაქტიკულად, ეს საქმიანობა არის ჩაშლილი ჩვენი ქუთაისში ყოფნის გამო, ვინაიდან ყველა დიპლომატიური მისია და აკრედიტებული საელჩოები საქართველოს დედაქალაქშია. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნების უფლება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ ტერიტორიულად შორს ვართ ერთმანეთისგან, რაღაც საკითხზე ერთობლივად ვერ ჩავიაროთ. ეს არის სერიოზული პრობლემები და ის ყველაფერი უნდა გასწორდეს. ეს არის ჩვენი პოზიცია. ამ პოზიციას უპირისპირდება ერთადერთი პოზიცია, რომ ქუთაისის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია, პარლამენტი იყოს ქუთაისში. მე მინდა განვაცხადო, რომ 360 მილიონი ლარი, რომელიც ამ შენობაში იქნა დახარჯული და, რამდენად კანონიერად, ამას აუდიტის სამსახური არკვევს, მათი დასკვნის შესახებ უახლოეს ხანებში გვეცოდინება. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ ამ ფულის გადაყრას და ქუთაისს მიეცემა საკმაოდ სერიოზული დატვირთვაც. უკვე არსებობს სერიოზული ორი პროექტი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქუთაისში. ასე რომ, ქუთაისში უკვე დახარჯული თანხის გაფუჭებას არ ვაპირებთ. რაც შეეხება ეკონომიკურ აღმავლობას, ეს პარლამენტის ზემოთ-ქვემოთ გადატანით არ ხდება. იმის მეათედიც რომ დაეხარჯათ ქუთაისის განვითარებისთვის, დღეს ქუთაისში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. დღეს არანაირი ადეკვატური არგუმენტი არ არსებობს იმისა, თუ რატომ უნდა იყოს პარლამენტი ქუთაისში.



# ზვიად ძიძიგური: „ჩვენ არ გვჭირდება კონსტიტუციური რყევები“

***— რაც შეეხება სააკაშვილის უფლებამოსილების შეზღუდვას, ამბობენ, რომ უმრავლესობას ეშინია, სააკაშვილმა რაიმე გაუთვალისწინებელი არ ჩაიდინოს და ამიტომ აპირებენ ამ ცვლილების განხორციელებას.***

— რა თქმა უნდა, გვეშინია. ხომ ხედავთ, კაცი რა მდგომარეობაშია, რას გააკეთებს, ვინ იცის. ამიტომ ჩვენ არაფერში გვჭირდება დესტაბილიზაცია, კონსტიტუციური რყევები. ჩვენ კი არა, საქართველოსა და მის მოსახლეობას არ სჭირდება. ჩვენი ინიციატივა ეხება მხოლოდ ოქტომბრამდე პერიოდს. ოქტომბრიდან ახალი კონსტიტუცია შედის ძალაში. აქედან გამომდინარე, ეს არის თავის დაცვა და პირველ რიგში ქვეყნის დაცვა იმისაგან, რომ ამ მდგომარეობაში მყოფმა წონასწორობადაკარგულმა კაცმა რაღაც არ ჩაიდინოს ისეთი, რომელიც ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება. სააკაშვილის ყველა გამოსვლა და განცხადება არასახელმწიფოებრივია. ის ქვეყნის ინტერესებს არად დაგიდევთ და ყველაფერზე აკეთებს ისეთ კომენტარებს, რომელიც ამწვავებს ქვეყნის შიდა მდგომარეობასაც და ქვეყნის გარეთაც, ჩვენს ყველა მეზობელთან. მისი კომენტარები არის ხელის შეშლა ამ ურთიერთობებისთვის. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და ამას ყველანი ხედავენ. კაცი როდესაც მიდის ასეთი ტიპის ნაბიჯებზე, როდესაც მისი ფსიქოლოგია არის ასეთი, რა თქმა უნდა, პრევენციული ღონისძიება გასატარებელია. დიახ, ვადასტურებ, გვეშინია, რაიმე უგუნური საქციელი არ ჩაიდინოს მიხეილ სააკაშვილმა და ქვეყანაში არეულობა არ დაიწყოს.

***— ე.ი. საფრთხე რეალურია?***

— საფრთხე რეალურია თუ არა, ჩვენ, როგორც გონიერი ხალხი, ვალდებულნი ვართ, ამ საფრთხის საწინააღმდეგო ზომები მივიღოთ.

***— იმპიჩმენტი შეუძლებელიაო, ასეთი განცხადებებიც მოვისმინეთ. ასეა?***

— იმპიჩმენტს იმდენად გრძელვადიანი პროცედურები აქვს, რომ ამასობაში მოვა ოქტომბერი. ეს არ არის ისეთი თემა და თანაც იმპიჩმენტი გულისხმობს იმას, რომ ჩვენ პიროვნულად ვართ სააკაშვილის წინააღმდეგი, თუმცა ამას არ გულისხმობს, უბრალოდ, ამას ასე წაიკითხავენ და დაიწყებენ ასეთი ტიპის აგიტაციას. ეს არ არის საჭირო. მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებსაც ვთავაზობთ უმცირესობასა და სააკაშვილს. მისი უფლებები ერთი მიმართულებით კიდევ უფრო გაზრდილია, მას ქვეყნისთვის არასასურველი პარლამენტის დათხოვნა შეუძლია, მაგრამ, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია ეს პარლამენტი და მთავრობა, სააკაშვილს უფლება არ ექნება, თავისი მთავრობა მოახვიოს თავს საქართველოს მოსახლეობას. ეს არის ამ კონსტიტუციური უფლების მთავარი არსი. პარლამენტის დათხოვის შემთხვევაში ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს და ნაციონალურმა მოძრაობამ თვითონ გადაწყვიტოს, ხელახალი არჩევნების შემთხვევაში 40%-ს აიღებენ თუ 5%-ს. ეჭვი მაქვს, რომ უფრო მეორე ციფრი გამართლდება, ვიდრე პირველი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი გვეყოლება ოქტომბრამდე, ოღონდ უფლებებშეზღუდული?***

— ჩვენ არ ვფიქრობთ ასე, ასეთი რეალობის წინაშე ვიმყოფებით. ჩვენ არ გვინდა არავითარი არც კონსტიტუციური და არც სხვა ტიპის რყევები. ჩვენი სურვილია, სტაბილურობა იყოს ქვეყანაში და დაიწყოს იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებს პასუხობს და რომლითაც მოვედით ჩვენ ხელისუფლებაში. საქართველოს ბიუჯეტი სოციალურად არის სრულიად განსხვავებული, სოციალურ მიმართულებაზე ორიენტირებული, ასევე ჯანდაცვაზე, განათლებასა და სხვადასხვა ღონისძიებებზე დიდი თანხებია გამოყოფილი. პრაქტიკულად, ნულია გამოყოფილი ისეთი თანხებისთვის, რომელშიც მილიარდებს ხარჯავდა მიხეილ სააკაშვილი, პომპეზური, გასართობი თუ პოლიტიკური პიარისთვის დაგეგმილი ღონისძიებები არ არის ამ ბიუჯეტში შეტანილი. ამ ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ არის არამიზნობრივად ჩადებული და ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი უკეთესი არ უნდა იყოს.

***— ბატონო ზვიად, კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით რამდენად გექნებათ საკმარისი ხმები და მხარდაჭერა?***

— ამას თუ არ დაუჭირეს უმცირესობის წარმომადგენლებმა მხარი, ისე ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს ასი ხმა და ვერ გავიტანთ ამ ცვლილებებს. მე არაერთხელ მითქვამს და თქვენთანაც ვადასტურებ, რომ უმცირესობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ პარლამენტის თბილისში დაბრუნებას. ეს ერთი საკითხია, ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება. რაც შეეხება კონსტიტუციურ ცვლილებებს, აქაც, მინდა გითხრათ, რომ კონკრეტული თანამგრძნობები უმცირესობაში ამ პოლიტიკურ პროექტს ჰყავს. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ არ გვაქვს ასი ხმა პარლამენტში და ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ განხორციელდება. ამიტომ წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ჯერ საკმარისი დროა იმისათვის, რომ ჩამოყალიბებული კონტურები კარგად გამოიკვეთოს. მე ვსაუბრობ დღეს იმაზე, თუ რა პოლიტიკური გეგმები გვაქვს. ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

## ახმედ ჩატაევი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

ლოპოტას ხეობაში დაკავებული ახმედ ჩატაევი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო.

„თუ მოწმეები სიმართლეს იტყოდნენ, გავმართლდებოდი. დღეს ამას არ ველოდი, თავს კარგად ვგრძნობ, რადგან გამამართლეს. 3 მოწმე გამოცხადდა, ისინი მესაზღვრეები იყვნენ, სწორედ მათ მიპოვეს. მათ თქვეს, რომ მე ხელყუმბარები არ მქონდა. ამნისტიაზე უარი ვთქვი, იმიტომ, რომ მართალი ვარ და მინდოდა ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა. ახლა ავსტრიაში გადავფრინდები, სადაც პოლიტიკური დევნილის სტატუსით ვსარგებლობ“, – განაცხადა ჩატაევმა.

შეგახსენებთ, რომ შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, ლოპოტას ხეობაში 7 სექტემბერს განხორციელებული დევნის ოპერაციის შედეგად, შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი იქნა ლიკვიდირებული. ახმედ ჩატაევიც სწორედ აღნიშნული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ედებოდა, რაც ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს და სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატაევს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 5 000 ლარის ოდენობით გირაოთი შეეცვალა.

ამასთან, ახმედ ჩატაევი უკრაინაში ორი წლის წინაც დააკავეს და რუსეთმა მისი ექსტრადიცია მოითხოვა. ჩატაევს რუსეთში ტერორიზმსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებენ.



ჩატაევის ექსტრადიცია რუსეთმა საქართველოსაც მოსთხოვა, თუმცა როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ქართული მხარე ჩატაევის გადაცემას არ აპირებს.

პირველი

# ფანჯიკიძე უმცირესობას თებერვალში შეხვდება

ნათია ხურცილავა

მაია ფანჯიკიძე საპარლამენტო უმცირესობას შეხვედრას თებერვლის დასაწყისში სთავაზობს. ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის მიერ მოთხოვნილ შეხვედრას გამოეხმაურა.

მინისტრის თქმით, საპარლამენტო უმცირესობასთან მასაც ძალიან ბევრი კითხვა აქვს და ამიტომ ძალიან უნდოდა ამ შეხვედრის ჩატარება, თუმცა, მისი განმარტებით, იმის გამო, რომ შეტყობინება ძალიან გვიან მიიღო და დღეისთვის წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი რამდენიმე შეხვედრა, რომელთაგან ერთ-ერთი ნოემბერშიც კი დაიგეგმა და დღეს საღამოს უნდა



შედგეს, ის ქუთაისში ვეღარ გაემგზავრა. მინისტრის განცხადებით, ქუთაისში ჩასვლა-ჩამოსვლას მინიმუმ 6 საათი სჭირდება და შეხვედრის ადგილი თბილისში რომ ყოფილიყო, პრობლემა არ იქნებოდა.

– ამის შესახებ პარლამენტს გუშინ ტელეფონით შევატყობინე, ხოლო დღეს, მას შემდეგ, რაც დავბრუნდი სომხეთიდან, წერილი გავუგზავნე, სადაც ვთავაზობ, რომ ეს შეხვედრა თებერვლის დასაწყისში გაიმართოს, რადგან მანამდე ასევე დატვირთული პერიოდია, არის მთავრობის სხდომა, ასევე დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, ხოლო სამშაბათს ხანგრძლივი ვიზიტით მივემგზავრები რამდენიმე ქვეყანაში, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ამ ხანგრძლივი ვიზიტიდან საქართველოში 3 თებერვალს დაბრუნდება და, აქედან გამომდინარე, უმცირესობას სთავაზობს, შეხვედრა 4 თებერვალს გაიმართოს.

– მე აუცილებლად ჩავალ ქუთაისში და, დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან საინტერესო შეხვედრა იქნება, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ორი დღის წინ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. მას აინტერესებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ გაუჩნდა თუ არა კითხვები, როდესაც ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.

– „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ მინდა ვკითხო, გაუჩნდა თუ არა იგივე შეკითხვა, როდესაც მე გამათავისუფლეს სამსახურიდან, დასვა თუ არა იგივე შეკითხვა, როდესაც ძალიან ბევრი ელჩი გაათავისუფლეს სამსახურიდან, გამოიწვიეს ვადაზე ადრე, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, როდესაც ელჩობიდან გაათავისუფლეს, სამინისტროს რეზერვშიც ვერ მოხვდა, მიუხედავად იმისა, რომ 16 წელი მუშაობდა ამ უწყებაში. ფანჯიკიძის განმარტებით, მაშინ არანაირი განმარტება მისთვის არავის მიუცია და ბრძანებაშიც არ ეწერა არანაირი მიზეზი, თუ რის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან.

– მე არ მახსოვს, საქართველოში ვინმეს ამის გამო პროტესტი გამოეთქვას და შეკითხვა დაესვას. რაც შეეხება ელჩების გამოწვევას, ამაზე ბევრი განმარტება გაკეთდა. იყო გარკვეული კონტინგენტი, რომელიც იყო დანიშნული პოლიტიკური მიზნით, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო სამსახურებიდან თანამშრომლების გათავისუფლების სტატისტიკა გამოაქვეყნა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ განცხადებით, პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სამსახურებში სერიოზული ცვლილებები მოხდა ან ხდება. იმის მიუხედავად, რომ, ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად, რეფორმების გატარება ბუნებრივია, ბევრგან ეს პროცესები გაუმართლებელ სახეს იღებს.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ქვეყნის პოზიციაზე:

– მე ვეთანხმები იმ კურსს, რომ საქართველო უნდა ეცადოს, აბსოლუტურად ყველა ქვეყანასთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ „რადიო თავისუფლების“ სომხური რედაქციისთვის მიცემული ინტერვიუს კომენტირებისას განაცხადა.

– მე მგონი, ამას ცდილობს ყველა ნორმალური ქვეყანა და ძალიან ბევრი ქვეყანა ამას აღწევს. ერთადერთი, რაც პრემიერმა თქვა, არის ის, რომ სასურველია, ჩვენც გვქონდეს ყველასთან კარგი ურთიერთობა, – განმარტა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუში აღნიშნა, ქვეყნის პრიორიტეტები ევროპა და ევროატლანტიკური ალიანსია.

– ჩვენ ურყევად მივყვებით ამ კურსს. პარალელურად, ჩნდება კითხვა – შესაძლოა თუ არა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა და, ამავდროულად, გქონდეს კარგი ურთიერთობა ნატო-სთან, ისწრაფვოდე მისკენ, გქონდეს კარგი ურთიერთობა ამერიკასთან და ნატო-ს წევრ ქვეყნებთან. მე ვფიქრობ, რომ ქართველებისთვის სომხეთი კარგი მაგალითია, რომელიც კარგ ურთიერთობაშია რუსეთთან და მეგობრული ურთიერთობები აქვს ამერიკასთან და ნატო-ს სხვა წევრ ქვეყნებთან.

შესაბამისად, ეს ყველაფერი შესაძლებელია და მივიჩნევ, რომ ვალდებულნი ვართ და დიდი იმედი მაქვს, ამ ყველაფრის შეთავსებას შევძლებთ, – განუცხადა „რადიო თავისუფლების“ სომხეთის რედაქციას ბიძინა ივანიშვილმა.

# პრესას ყველა სოფელში მივიტანთ!

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია“ სწორედ მაშინ შეიქმნა, როდესაც თავისუფალ პრესას გაუჭირდა. ორგანიზაციის არსებობა, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართული პრესის არსებობისთვის. ახალა, ორგანიზაცია უფრო დიდი პროექტისთვის ემზადება და ეს მაღალმთიან რეგიონებში, სოფლებში თავისუფალი პრესის შეტანაა.

პროექტის არსებობის აუცილებლობაზე, მის მიზნებსა და მომავალზე „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ლექსო ჯიქია გვესაუბრება:

***– ბატონო ლექს, როგორ შეიქმნა თქვენი ორგანიზაცია და მისი ძირითადი მიზანი რა არის?***

– 2011 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია“ საქართველოს პრესის ასოციაციამ დააფუძნა. ორგანიზაცია არაპოლიტიკური, არაკომერციული იურიდიული პირია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია არაპოლიტიკური და არამომგებიანია, რადგან ჩვენი ორგანიზაციის მიზანი არის მოქალაქეების ინფორმირებულობა. ჩვენთვის მთავარ უპირატესობას მომხმარებელი, მკითხველი წარმოადგენს. ორგანიზაციას ორი ძირითადი ბენეფიციარი ჰყავს, რისთვისაც შეიქმნა ეს ორგანიზაცია არის გამომცემლები და მკითხველები. ჩვენ ოპტიმალურ ვარიანტს ვეძებთ, რომ ეს ორი მხარე გონივრულად შეხვდეს ერთმანეთს. ორგანიზაციის მიზანი არის საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, მედია ორგანიზაციების ხელშეწყობა. მათ შორის პრესის გავრცელების, როგორც იურიდიული, ასევე კერძო პირების საქმიანობის ხელშეწყობა და მათი მხარდაჭერა. ზოგადად მედიის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.

***– რატომ გახდა საჭირო, რომ მსგავსი მხარდაჭერის ორგანიზაცია შექმნილიყო? კონკრეტული მიზეზი რა იყო?***

– 2011 წლის მეორე ნახევარში თბილისის მერიამ ტენდერი გამოაცხადა თბილისის მასშტაბით მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის თაობაზე, ტენდერს „ათასი ჯიხურის პროექტი“ ერქვა, როგორც მახსოვს. ტენდერში გამოტანილი ლოტების უმრავლესობა გეოგრაფიულად დაემთხვა იმ ადგილებს, სადაც უკვე განთავსებული იყო პრესის ჯიხურები. ტენდერში მონაწილეობა მიიღეს როგორც მედიასაშუალების წარმომადგენლებმა, ასევე სხვადასხვა ბიზნესის მესვეურებმა. ამდენად, ბუნებრივია, კონკურენცია წავიდა. ტენდერში უმრავლეს შემთხვევაში არა მედიასაშუალებებმა, არამედ სხვა ბიზნესმა გაიმარჯვა.

***– რაც ბუნებრივად გამოიწვევდა პრესის გავრცელების შეზღუდვას...***

– რასაკვირველია. პრესის გავრცელების შეზღუდვა უკვე იგრძნობოდა. ფაქტიურად ჯიხურები არ არსებობდა. ტრადიციულად კი, თბილისში პრესა ჯიხურებიდან იყიდებოდა. რადგან პრესის გავრცელების ამ დიდი შესაძლებლობის შეზღუდვა მოხდა, ბუნებრივია, ეს თბილისელებმა იგრძნეს. სხვათა შორის, ჩემმა ოჯახმაც. ხშირ შემთხვევაში პრესა სხვა პროდუქციით ჩანაცვლდა. როდესაც ჩვეულ ადგილზე მიდიოდა მკითხველი, იქ მას პრესის ნაცვლად სხვა რაღაც ხვდებოდა.

***– მაგალითად, ალკოჰოლური სასმელიც?***

– დიახ. მაგალითად, იქ, სადაც მე და ჩემი მეზობლები ჟურნალ-გაზეთებს ვყიდულობდით, ერთ მშვენიერ დღეს დაგვხვდა სულ სხვა პროდუქცია, რომლის დასახელებაც ახლა არ მინდა. იმ პროდუქციის მიმართ არავითარი პრეტენზია არ მაქვს, რადგან ის საჭიროა, რომ ბაზარზე არსებობდეს ყოველდღიური მოხმარებისთვის, მაგრამ არა პრესის სანაცვლოდ. თბილისისთვის ეს პრობლემა



რომ მოგვეხსნა, ამიტომ საზოგადოებას შევთავაზეთ, პრესა მკითხველამდე ალტერნატიული გზით მისულიყო.

***– ეს გზა იყო ქალაქში მოძრავი პრესის გამყიდველები?***

– დიახ. პრესის გავრცელება მაშინ დავიწყეთ მოძრავი ურიკა-სტელაჟებისა და მოძრავი ველოსიპედი-სტელაჟების მეშვეობით. ეს იყო სიახლე არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. მეტიც, არც ერთ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არის მსგავსი სერვისი. ყველაფერი თბილისის ცენტრალური უბნებით დაიწყო, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ პერიფერიებში გადავედით. ამ დროისთვის დედაქალაქში ხელმისაწვდომობის პრობლემა ნამდვილად არ დგას. ჩვენი პროექტის მეშვეობით გავრცელების ბევრმა სამსახურმა შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა, ფინანსურ სტაბილურობას ვგულისხმობ. სწორედ ჩვენი ორგანიზაციის მეშვეობით მათ შეძლეს, რომ ეს პერიოდი გადაეტანათ და ფინანსური დარტყმა არ ეგრძნოთ. ახლა ჩვენი პრიორიტეტი რეგიონებია. თბილისის ცენტრალურ რაიონებში ურიკები შევამცირეთ და პერიფერიებში გავედით. მაგალითად, ორხევში, ლილოს დასახლებაში, გლდანულაში, გლდანში, აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც პრესა ჩვენამდე არც მიეწოდებოდათ. რეალიზატორებთან შეხვედრა მქონდა და ერთ-ერთმა მითხრა, რომ ზაჰესისა და ე.წ. კონიაკის დასახლებაში მხოლოდ ის აწვდის პრესას. რუსთაველსა და აღმაშენებელზე მოძრავი სტელაჟები აღარ იქნება, რომ დუბლირება არ გამოვიწვიოთ. ჩვენ მოვახერხეთ გამავრცელებლებისთვის მათი ადგილის შენარჩუნება. ჩვენ პრესის გავრცელების ადგილი ფიზიკურად შევინარჩუნეთ. პერიფერიებში პრესის გავრცელება რომ დაიწყოს, ამას დრო სჭირდება ფინანსებთან ერთად. ადამიანები უნდა შეეჩვიონ, რომ გარკვეულ ადგილზე პრესა იყიდება. ჩვენთვის ეს ბიზნესი არ არის, არავითარი მოგება არ გვაქვს.

***– დოტაციაზეა თქვენი ორგანიზაცია?***

– დიახ, დოტაციაზე და გრანტებზე. პროექტის დონორი არის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი – ფონდი „ქართუ“, რომელიც დღესაც აფინანსებს ამ ორგანიზაციას.

***– დღეს რა პრობლემები არსებობს ამ ბაზარზე?***

– ჩვენ ამ პროექტით ბაზრის დივერსიფიცირება მოვახდინეთ. თბილისი ერთგვარი თავკომბალა იყო ამ მხრივ. პრესა მხოლოდ ცენტრალურ ადგილებში იყიდებოდა, ძირითადად მეტროპოლიტენებთან. მეტროპოლიტენების, ცენტრალური ადგილების გარდა, პრესა მოსახლეობას არ მიეწოდებოდა.

***– თქვენ ბაზარი შეავსეთ?***

– ჩვენი პროექტით სწორედ ეს მოხდა. ჩვენი მიმწოდებლები კორპუსებში დადიან. ძალიან ბევრმა ჩვენი რეალიზატორების ტელეფონის ნომრებიც იციან. ურეკავენ და ყიდულობენ. პროექტის მიზანი იყო მკითხველს პრესა შეეძინა იქ, სადაც მას უფრო აწყობდა. მაგალითად, გლდანში მკითხველი მეტროსადგურთან სპეციალურად უნდა მისულიყო, რომ გაზეთი ეყიდა, ჩვენი პროექტის მეშვეობით კი, ჩვენი რეალიზატორები მათთან მიდიან. სერვისი გაუმჯობესდა. ფოსტალიონის ინსტიტუტის რეაბილიტაცია და აღდგენა დავიწყეთ. პირველად ჩვენმა ორგანიზაციამ შემოიღო ქვეყნის მასშტაბით ის, რომ პრესის გამავრცელებელს აცვია ფორმა. ერთხელ, ადრე, ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა, რომ პრესას ბომჟები ყიდიანო. ბომჟები კი არ ყიდიან, ძალიან განათლებული ხალხი ყიდის. გაზეთსა და ჟურნალს ვინც ყიდის, ის მას აუცილებლად კითხულობს. ფორმაზე მინდა ვთქვა, რომ ამ ფორმების შემოღებით ადამიანის უფლებები დავიცავით.

***– რეგიონებს რომ დავუბრუნდეთ, რამდენადაც ვიცი, რეგიონებში ისევ პრობლემაა პრესის გავრცელება. ამ მხრივ რა ხდება?***

– ჩვენი პრიორიტეტი ახლა რეგიონებია. ჩატარებული კვლევების შედეგად გავარკვიეთ, რომ გარკვეული დოზით მარაგდება მხოლოდ რეგიონალური ცენტრები. მაგალითად, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ფოთი, მაგრამ სოფლებში არ შედის. ნახევარი წლის წინ სწორედ სოფლების ათვისება დავიწყეთ. მაღალმთიანი სოფლებიდან დავიწყეთ. პირველი პროექტი რაჭაში განხორციელდა. დღეს რაჭის 12 სოფელში პრესის გავრცელება ხდება. პრესა ვრცელდება ზუსტად იგივე ფასში, რა ფასადაც რუსთაველის პროსპექტზე შეუძლია პიროვნებას, მაგალითად, თქვენი გაზეთი იყიდოს. მახსოვს რაჭაში, სოფელ ნიკორწმინდაში როგორ დაესია ხალხი გაზეთებს და ნახევარ საათში აღარ იყო. იქაურები გვეუბნებოდნენ, კომუნისტების მერე პრესა აქ არ ამოუტანიათ ასე მასშტაბურადო. მერე მოყვა ამას სოფელი ჭრებალო და ა.შ.

***– მოთხოვნა არის?***

– ძალიან დიდი მოთხოვნა არის. პრესას ვერაფერი ვერ ჩაანაცვლებს. პრესით მკითხველთან ინფორმაცია რჩება. 3-4 თვეა, რაც პროექტი აჭარის მაღალმთიან რეგიონებშიც ავიდა. ხულოსა და შუახევში უკვე ავიდნენ ჩვენი რეალიზატორები. ეს არის უკიდურესი აჭარა. წარმოიდგინეთ, იქ, ჩვენი ფორმიანი ხალხი დადის და პრესას ავრცელებს. ძალიან დიდი მოთხოვნაა. მე რომ ხულოსა და შუახევში შევედი, ეს იყო პერიოდი, როდესაც პოლიტიკური პროცესები მძაფრად იყო, ყველა ოჯახს ჰქონდა ე.წ. თეფში, მაგრამ როგორც კი გაიგეს, რომ ქართული პრესა შევიდა, ძალიან დიდი მოთხოვნა გაჩნდა. ხულოში 17-18 სოფელია, შუახევში იგივე რაოდენობის სოფლებში, ყველგან შესულია ჟურნალ-გაზეთები. ახლა გეგმა გვაქვს, რომ დანარჩენ სოფლებშიც შევიტანოთ. გაზაფხულიდან ყველა სოფელს მოვიცავთ. გარდა ამისა, ერთი თვეა, რაც ცაგერის, ლეჩხუმის მომარაგება დავიწყეთ. სანამ ჩვენ იქ პრესას შევიტანდით, მანამ არც კი იყო. ძალიან მწირი იყო. რაიონებში, ღრმა სოფლებში ძალიან დიდი მოთხოვნაა, მაგალითად, „ახალი თაობის“, „რეზონანსის“. ძალიან დიდი მოთხოვნაა თბილისშიც.

***– სამომავლო გეგმები როგორია?***

– ჩვენი მიზანია, რომ მოსახლეობის ინტერესები დავაკმაყოფილოთ. ამიტომ ვართ საქველმოქმედო ორგანიზაცია, დონორზე დამოკიდებული. ახლა ვაპირებთ დაფინანსების წყაროს დივერსიფიცირებას. სხვადასხვა დონორებს ვეძებთ. ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა დონორმა დაგვაფინანსა, პროექტი წარდგენილი გვაქვს და იმედია, რომ გაგრძელდება. რადგან ამ საქმის ასე მიტოვება არ შეიძლება. ეს პროექტი რომ შეწყდეს, ხალხი ამ ორგანიზაციას, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, ისე მიიღებს.

***– რატომ?***

– რადგან ვერავის დავაჯერებთ, რომ ეს არ იყო მოკლე პერიოდზე გათვლილი მოქმედება, კონკრეტული მიზნის მისაღწევად შემუშავებული პროექტი. ჩვენთვის მთავარი მიზანი იყო და რჩება მკითხველამდე მივიტანოთ ინფორმაცია. ძალიან დიდი სამიზნე ჩვენთვის მომხმარებელია. მაგალითად, სადღაც უკიდურეს სოფელში ორი-სამი გაზეთი შეიძლება ვიღაცამ იყიდოს და მეტი ვერა, მაგრამ ესეც კარგია, რადგან იმ ორ-სამ გაზეთს 15-20 ოჯახი კითხულობს. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ სოფლამდე რომ მივსულიყავით, 100 ლარი დავხარჯეთ და 2-3 ლარის გაზეთი გავყიდეთ, მაგრამ გვიღირს. გვიღირს სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი იყოს ინფორმირებული. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენ უკვე ვეძებთ ახალ დონორებს. პრეზიდენტმაც გამოაცხადა, რომ მედიასაშუალებებს დაეხმარება.

***– აპირებთ მიმართოთ ნოდიასა და დარასელის ფონდს, რომ მიიღოთ დაფინანსება?***

– რა თქმა უნდა, ვაპირებთ. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი სწორად კეთდება თავისუფალი პრესის განვითარებისთვის. თუ რეალურად თავისუფალი მედიის განვითარება და მხარდაჭერაა მიზანი, არა მგონია, რომ ასეთ დიდ საქმეს, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, არ დაეხმარონ. ჩვენი მიზანი სხვა არაფერია თუ არა ინფორმაციის პირდაპირი მიტანა. როგორც აღვნიშნე, ჩვენ ვაპირებთ განაცხადის შეტანას. როგორც ვიცი, თებერვლიდან გამოცხადდება თუ როგორ უნდა მოხდეს პროექტის წარმოდგენა. ძალიან მაინტერესებს ასევე ის, თუ რა მიმართულებას აფინანსებენ. პრესა თავისუფალი მედიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ასევე გვინდა საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართოთ. ვიმეორებ, პრიორიტეტი საქართველოს რეგიონები იქნება, სოფლები, მაღალმთიანი რეგიონები. უკვე რეგიონალურ ცენტრებზეც აღარ გავაკეთებთ აქცენტს, რადგან ასე თუ ისე, ისინი მარაგდებიან. ჩვენი ორგანიზაციის ფინანსური მხარე ღიაა და ყველას შეუძლია დააკვირდეს, ეს ფინანსები რამდენი იხარჯება და რისთვის იხარჯება. დახარჯული ფულის მიზნობრიობა სახეზეა, ეს ჩანს. ამ ორგანიზაციის ამ სახით შენარჩუნება და არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

# დასავლური რეალობა ანუ ქვაციხის გაკვეთილი

**საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, ერის ცნობიერებაში „დასავლური უპირატესობის" სტერეოტიპი ჩამოყალიბდა.**

სხვა ყველაფერთან ერთად, უპირატესი იყო დასავლური აზრიც. რატომღაც მიიჩნეოდა, რომ უცხოური გვარ-სახელის, ბლანჟეთი დამშვენებული ქერა-მოწითურო პიროვნების მიერ, ქართველი ხალხის მისამართით, ტელეეთერით გამოგზავნილი რჩევა-დარიგებები დოგმად უნდა ქცეულიყო, ხოლო მისი არაღიარება, ლამის სამშობლოს ღალატად იყო აღქმული.

ეს სტერეოტიპი ქართველთა ცნობიერებაში, კიდევ უფრო წარმატებით ჩანერგეს ე.წ. სახელისუფლებო არხებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველი ან ნაკლებადცნობილი უცხოური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ, თარგმანის თანხლებით გადმოცემულ აზრებს უცილობელ ჭეშმარიტებად წარმოგვიჩენდნენ. ამან გარკვეულწილად, ნაციონალური არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომლისგანაც თავის დაღწევას ამჟამად ვცდილობთ, თუმცა ჯერჯერობით არცთუ წარმატებულად.

საერთოდ კი, რჩება შთაბეჭდილება, რომ თუ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს ერთი უფროსი ძმა ჰყავდა, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის „უფროსი ძმების" რიცხვმა ნახტომისებურად იმატა, რის შედეგადაც, ვისაც არ დაეზარა ყველა ჩვენი უფროსი ძმა გახდა და საქართველოში, ქართველის გარდა, ყველას სიტყვა კანონის ტოლფასად იყო მიჩნეული. ამის ნათელ მაგალითად იმ საერთაშორისო ორგანიზაციების სოციოლოგიური კვლევებიც კმარა, რომლებსაც ნაციონალური არხები დიდი დოზებით გვაწვდიდნენ და რომელთა თანახმადაც, ყოველთვის მმართველი გუნდი და მათთვის სასურველი ფსევდოოპოზიციური ძალები ლიდერობდნენ.

სწორედ ამან განაპირობა ის ნეგატიური განწყობა, რომელიც დღეს, დასავლეთის მიმართ ქართველი ერის უდიდეს ნაწილს აქვს.

უნებლიედ დიდი ქართველი მოაზროვნის, აკაკი ბაქრაძის ერთ-ერთი წიგნის მოკლე ფრაგმენტი გამახსენდა, რომელსაც ბატონი აკაკი თვითონ „ქვაციხის გაკვეთილს" უწოდებდა.

როდესაც საქართველოში 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება ჩაახშეს, კომუნისტურმა მთავრობამ, დედაქალაქიდან სოფლებში პროპაგანდისტები დაგზავნა, რათა მათ მოსახლეობისთვის „განემარტათ" თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ერთი ასეთი პროპაგანდისტი ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეშიც ჩავიდა. ბატონი აკაკი ბაქრაძის გადმოცემით, მაშინ არსებული წესის თანახმად, რა თემაზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, პროპაგანდისტებს ჯერ საერთაშორისო მიმოხილვით იწყებდნენ. უნდა ეთქვათ რა ხდებოდა ამერიკაში, იაპონიაში, აფრიკაში და ა.შ, ხოლო ამის შემდეგ გადადიოდნენ იმ საკითხზე, რისთვისაც კრება იყო მოწვეული.

ამ წესს ვერც ქვაციხეში ჩასული პროპაგანდისტი გაექცაო, წერს ბატონი აკაკი. მან ქვაციხელებს თურმე ჯერ ის უამბო, რა უბედურება ტრიალებდა ამერიკაში, იაპონიაში, ევროპასა თუ აფრიკაში, თუ როგორ ყვლეფდნენ კაპიტალისტები მუშათა კლასის წარმომადგენლებს, როგორ აძრობდნენ ტყავს გლეხებს მემამულეები და ამის შემდეგ გადავიდა თავისი ვიზიტის მთავარ მიზანზე, ანუ 1924 წლის აჯანყებაზე.

მისი განმარტებით, აღნიშნული აჯანყება იყო რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურობის, ბურჟუაზიისა და უცხოეთის მიერ დაქირავებული აგენტების შეთქმულება ქართველი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ.

ამის მოსმენის შემდეგ, ერთი ქვაციხელი გლეხი წამომდგარა და პროპაგანდისტისთვის უთქვამს, ბიძია იმ აჯანყებაში, შენ რომ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება უწოდე, ჩვენ ვმონაწილეობდით, მე და ჩემი მეზობლები რომლებიც ახლა შენ გისმენენ. ეს ჩვენ გვეჭირა თოფი ხელში და ვიბრძოდით და ჩვენს რაზმში არცერთი თავადი და ბურჟუა არ მინახავს. ბიძია შენ იმას მატყუებ რაც აგერ ქვაციხეში ჩემს თვალწინ მოხდა და იმაზე მეტყვი სიმართლეს რაც ამერიკაში ან იაპონიაში ხდებაო?

ვერაფერს იტყვი, რკინის ლოგიკაა, რომელიც დღევანდელ რეალობაშიც სამწუხაროდ დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის ზედგამოჭრილია.

მათ სწორედ იმ პროპაგანდისტივით დაემართათ.

როდესაც დასავლელი მეგობრები ადამიანებს – რომლებსაც სახლი წაართვეს, რომლებსაც ბიზნესი ჩამოართვეს, რომლებიც მათხოვრობის ზღვრამდე მიიყვანეს, რომელთა ახლობლებიც ქუჩაში დახვრიტეს, რომელთა ახლობლებიც ცემით მოკლეს და შემდეგ მაღაზიის თავზე შემოაწყვეს, რომლებიც უდანაშაულოდ ციხეში გამოამწყვდიეს, რომლებიც ცოცხებითა და სკამის ფეხებით გააუპატიურეს – ეუბნებოდნენ, რომ საქართველოში დემოკრატია ყვავის და საქართველო დემოკრატიის შუქურააო, დღეს ნულარ გაუკვირდებათ თუ ქართველი ერი მათ ნათქვამს აღარ ირწმუნებს. უფრო მეტიც, მათ არ უნდა გაუკვირდეთ, რომ ხალხში მათი რჩევა-დარიგება უკვე გაღიზიანებას იწვევს.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი თითქმის 20 წელია შეაჩვიეს, რომ ყველაფერი დასავლური კარგია, ხოლო მათი აზრი უცილობელი ჭეშმარიტებაა.

ამ ფონზე, საკმაოდ გაბედულად გამოჩნდა ქვეყნის პრემიერის განცხადება დასავლურ ზეწოლასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის დასავლეთის ზეწოლაზე დიდ დროს და ემოციას ხარჯავდა და მიუხედავად დასავლეთის დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, ახალ მთავრობას დასახული კურსიდან უკან, ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს განცხადება ხელზე მყისვე დაიხვიეს და აჟივჟივდნენ, თუ რა ანტიდასავლური კურსის მატარებელია ქვეყნის პრემიერი.

მიუხედავად მათი ჟივჟივისა, ისევ და ისევ დასავლეთის მიერ წინა წლებში გამოხატული რეაქციებიდან გამომდინარე, ხალხმა პრემიერის განცხადება ძალიან პოზიტიურად მიიღო.





**პოლიტპატიმართა ის რაოდენობა, რაც საქართველოს ციხეებში სააკაშვილის ზეობის პერიოდში იყო, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, მათ შორის კლასიკური დიქტატურის ქვეყნებად აღიარებულ სახელმწიფოებშიც კი არ დაფიქსირებულა**

ელემენტარულია, რომ თუ ქვეყანა გქვია და თუ ნამდვილ დემოკრატიასა და დამოუკიდებლობაზე გაქვს პრეტენზია, უნდა იმოქმედო შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და არა სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა რჩევით, რაც არ უნდა კარგი მეგობარი იყოს იგი.

ქართველ ხალხს რეალური დამოუკიდებლობა სურს და ამ სურვილს მას ვერავითარი ძალა ვერ დაუშლის.

მეორე მიზეზი კი, რის გამოც საზოგადოებამ პრემიერის განცხადება პოზიტიურად მიიღო, ეს წინა ხელისუფლების ქმედებებია. სწორედ იმ ხელისუფლების, ვის გამოც დასავლური ღირებულებები ქართველმა ხალხმა ეჭვქვეშ დააყენა და ვისაც იგივე დასავლეთი დღემდე კბილებით იცავს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ღირებულებების ეჭვქვეშ დაყენებას, ხელი, თავისი ქმედებებით თუ განცხადებებით, დასავლეთმაც შეუწყო.

ამავე რუბრიკაში ხშირად მისაუბრია იმ მიზეზებზე, რის გამოც, ქართველი ხალხი დასავლეთის მიმართ, უკვე არცთუ კეთილგანწყობილია, თუმცა მისი გამეორება ვფიქრობ უპრიანი იქნებოდა.

მანამ კი იმ „ზეწოლასა და ძალისხმევაზე" შევჩერდეთ, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში, პრემიერის თქმით, დასავლეთი, საქართველოს მიმართ იჩენდა.

სავარაუდოდ დასავლელი მეგობრების ერთ-ერთი რჩევა ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიმართ, სამართლიანობის აღდგენის პროცესის დროს მეტი ლიბერალიზმის გამოჩენა იქნებოდა. ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთს, რომლის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის, სამართალდამცველებთან პრობლემები აქვს, რომელიმე მეგობარმა, თუნდაც გერმანიამ რომ „მეგობრულად" ურჩიოს, სარკოზის მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინეო, ეს მყისიერად ქვეყნის შიდა საქმეებსი ჩარევად იქნება აღქმული და შეიძლება დიპლომატიური სკანდალის საფუძველიც კი გახდეს.

მაშინ, რატომ უნდა დაიჯეროს საქართველომ დასავლეთის რჩევები, რაოდენ „მეგობრულიც" არ უნდა იყოს იგი, მით უმეტეს, თუ ეს რჩევა ქვეყნის ინტერესებთან ან კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის. ეს ქართველი ხალხის დაკვეთა არაა. ქართველი ხალხის დაკვეთა, ქვეყნის ინტერესების პირველ პლანზე დაყენება და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების რეკომენდაციების უგულვებელყოფაცაა.

ეხლა კი კიდევ ერთხელ იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ქართველ ხალხს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ დასავლეთი არა მეგობარი, არამედ უბრალოდ დაინტერესებული მხარეა, რომელსაც თავისი ინტერესების გატარების შემთხვევაში როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი მაცხოვრებლების ბედი და მომავალი ნაკლებად აინტერესებს.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა, როცა მიხეილ სააკაშვილის მიერ დეკლარირებულ „ნულოვან ტოლერანტობას" ქართველი საჯიშე ბიჭები შეეწირა, რომლებსაც ვანო მერაბიშვილის პოლიცია ქუჩაში უმოწყალოდ და უმიზეზოდ ხოცავდა.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა, როცა საქართველოში, თავად დასავლეთისთვის ესოდენ ხელშეუხებელი და უზენაესი – საკუთრების უფლება ფეხქვეშ ითელებოდა.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა, როცა ერთი ადამიანი კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებდა.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა, როცა ამ ერთმა ადამიანმა საკუთარი ავანტიურისტული პოლიტიკის გამო, საქართველო რუსეთთან ომში ჩააბა.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა,, როცა მიხეილ სააკაშვილი ტელევიზიების მაუწყებლობას სპეცრაზმის საშუალებებით აჩერებდა, ხოლო ბეჭდურ მედიასაშუალებებს ოფისებიდან პოლიციის ძალით ყრიდა.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა, როცა კანონის ყოველგვარი მოთხოვნის დარღვევით, ხალხს შუაღამისას საკუთარ საძინებელში უვარდებოდნენ და ტელეკამერების თანდასწრებით საცვლებისამარას აპატიმრებდნენ.

– დასავლეთმა თვალი დახუჭა მაშინაც, როცა მმართველობის ფორმამ საქართველოში, აშკარად ავტორიტარული სახე მიიღო.

შეიძლება ვინმე შემომედავოს და უდავოდ ჭეშმარიტი, საუკენეებგამოვლილი ფორმულით იმართლოს თავი, რომ ნებისმიერი ერი იმ ხელისუფლებას იმსახურებს რომელიც ყავს. დიახ, ქართველი ხალხი ნამდვილად ღირსი იქნებოდა სააკაშვილის ხელისუფლებისა იმ შემთხვევაში, რომ მას შეგუებოდა.

მაგრამ, დღიდან ავტორიტარიზმის კონტურების გამოკვეთისა, ქართველი ხალხი მართლაც რომ მედგრად და გმირულად ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს, თუმცა სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ისევ და ისევ დასავლეთის დამსახურებით, ერი, ავტორიტარიზმთან ბრძოლაში დამარცხების პირამდე იქნა მიყვანილი.

რომ აღარაფერი ვთქვათ 2007 წლის 7 ნოემბერზე, როდესაც ხელისუფლება საკუთარ ხალხს სასტიკად გაუსწორდა და დამოუკიდებელი ტელეკომპანია სპეცრაზმის საშუალებით დაარბია, რომ აღარაფერი ვთქვათ 2009 წლის 6 მაისზე, როცა პოლიციელებმა მოსახლეობა ფეთქებადი ტყვიებით დაასახიჩრეს, დასავლეთი ქართველი ერის თვალში ვერასდროს გამოისყიდის იმ გულგრილობას, რაც მან 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდეგ გამოიჩინა.

ასევე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სააკაშვილის რეჟიმი 26 მაისს ვერ გაბედავდა ისეთი სისხლიანი სპეცოპერაციის მოწყობას, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადება, რომელმაც ფაქტიურად მწვანე შუქი აუნთო სააკაშვილს საკუთარი მოსახლეობის გაჟლეტის, ცემის, დასახიჩრების და საპყრობილეებში გამოკეტვის გზაზე.

ნურავინ ნუ იტყვის, რომ ქართველი ხალხი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას იმსახურებდა. ქართველი ხალხი თავის ორგანიზმში შეჭრილ უცხო სხეულს, მთელი თავისი იმუნიტეტის სრული მობილიზებით ებრძოდა.

ყოველივე ამის ფონზე კი, დასავლეთი მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას დემოკრატიის შუქურას უწოდებდა და მათი ემისრები ტელევიზიებით მუდმივად ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ საქართველომ დემოკრატიის თვალსაზრისით უზარმაზარი ნახტომი გააკეთა.

ასე, რომ ნურავის ნუ გაუკვირდება, თუ დასავლეთის რჩევებს ქართველი ხალხი განსაკუთრებული ეჭვით შეხედავს და მისი რეკომენდაციები გააღიზიანებს. დამეთანხმებით, ქართველ ხალხს ამის საფუძველი ნამდვილად აქვს.

სხვათა შორის, ქართველ ხალხს არ გაუგია დასავლეთის ხმამაღალი პროტესტი ქვეყნის პენიტენციალურ სისტემაში არსებული საშინელი მდგომარეობის ამსახველი კადრების გავრცელების დროსაც, სამაგიეროდ მათ გაიგეს დასავლეთის ხმამაღალი პროტესტი იმ პირთა დაკავების გამო, ვისი უშუალო დამსახურებაც იყო ციხეებში პატიმრების ცოცხებით და სკამის ფეხებით გაუპატიურების პრაქტიკის დანერგვა.

ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ პოლიტპატიმართა ის რაოდენობა, რაც საქართველოს ციხეებში სააკაშვილის ზეობის პერიოდში იყო, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, მათ შორის კლასიკური დიქტატურის ქვეყნებად აღიარებულ სახელმწიფოებშიც კი არ დაფიქსირებულა.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, რამდენიც არ უნდა ეცადოს მავანი, რომ ივანიშვილის ზემოთნახსენები განცხადება, ქართველი ხალხის პრემიერის მიმართ ნეგატიური განწყობის ამაღლების საბაბად გამოიყენოს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება, რადგან ქართველი ხალხის მეხსიერება ჯერ კიდევ საკმაოდ ხალასია.

და ბოლოს, მათ გასაგონად, ვინც პრემიერ-მინისტრს დასავლეთის ფაქტორის იგნორირებაში ადანაშაულებს. თავს ძალა დაატანონ და გაიხსენონ 2007 წელს გიგა ბოკერიას მიერ გაკეთებული განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ შეიძლება საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოექცეს და ამაში კატასტროფული არაფერიაო. რატომღაც მაშინ, დასავლეთის „ერთგულ" ქომაგებს ამ განცხადებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

არ ვიცი რამდენად აწყობს საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს სახით, მდარე ხარისხის პროდუქციის გასაღების ბაზრის ნაცვლად, განვითარებული და კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს მიღება, მაგრამ ფაქტი ერთია, ქართველი ხალხის დაკვეთა ესაა და ის ამ გზის გასავლელად მზად არის.

**ალეკო ჩუბინიძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

# ჯემალ ბაღაშვილი: „სახელმწიფო შოუბიზნესში არ უნდა ჩაერიოს!“

ეკა ირემაშვილი

საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში რამდენიმე მრგვალი მაგიდა ჩატარდა და ის ქართული თეატრისა და კინოს სფეროში დაგროვილ პრობლემებსა და მათი მოგვარების საკითხებს დაეთმო. ჯერ არ ჩატარებულა მრგვალი მაგიდა ქართული ესტრადის და შოუბიზნესის საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა მისი მესვეურები იმედს იტოვებენ, რომ კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია მათაც შეკრებს და ყურადღებით მოუსმენს ყველა იმ ადამიანს, რომელიც უკვე წლებია ქართულ ესტრადას ემსახურება.

ყველაზე დიდი გამოცდილება ამ სფეროში შოუბიზნესის ცენტრის „ლომისი“ ხელმძღვანელს ბატონ ჯემალ ბაღაშვილს აქვს, იგი უკვე ათეული წლებია ქართულ ესტრადას ემსახურება და ბოლო პერიოდში „იუმორინასა“ თუ სხვა ცნობილი პროექტების განხორციელებით ქართულ შოუბიზნესშიც კარგად არის ჩახედული.

თუკი წინა წლებში „იუმორინას“ მაყურებელი არ ელეოდა და სამი დღით დანიშნული კონცერტები მთელი ორი კვირა ანშლაგებით გრძელდებოდა, დღეს „იუმორინა“ წელიწადში ერთხელ ტარდება და ისიც მხოლოდ ერთი კონცერტი.

როგორც ბატონი ჯემალი ამბობს, ამ კონცერტს ისინი „იმედთან“ დადებული ხელშეკრულების გამო ატარებენ, რომ არ დაარღვიონ პირობები და მოხდეს „იუმორინას“ სრულიად ახალი პროგრამის ტელეგადაღება. რატომ მოკვდა საქართველოში შოუბიზნესი, უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო კონცერტების ორგანიზებაში, რატომ დავიდა „იუმორინას“ კონცერტები ერთამდე და რაშია გამოსავალი, ამ თემებზე ჯემალ ბაღაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა:

**ჯემალ ბაღაშვილი:**

– ჩვენ „იუმორინას“ მხოლოდ ერთი კონცერტი ჩავატარეთ დიდ საკონცერტო დარბაზში და სრულიად ახალი პროგრამა წარმოვადგინეთ. მასში მონაწილეობდნენ გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, ბესო ბერულაშვილი, დათო როსტომაშვილი თავისი ქალ-ვაჟით, გეგე სულხანიშვილი, ზურა ბერიკაშვილი, გურამ ჯაში, დათო კობახიძე, მერაბ გეგეჭკორი, მამუკა ლომაშვილი, ნინაკა გელაშვილი, დათო კენჭიაშვილი, ილია გველესიანი, ბიძინა მახარაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, თემურ წიკლაური, ალეკო თეთრაშვილი, „ქუჩის მუსიკოსები“ და მათი ხელმძღვანელი გია ბაღაშვილი. ამჯერად საღამოს წამყვანები იყვნენ ნინაკა გელაშვილი, ზურა ბერიკაშვილი და გურამ ჯაში. ჩვენ პირნათლად შევასრულეთ პირობა და ჩავატარეთ „იუმორინა“, რომელიც წესით შემოდგომაზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა, არჩევნებმა და მასთან დაკავშირებულმა ამბებმა, ეს კონცერტი ზამთრისთვის გადმოგვატანინა. თან კონცერტი გადავიღეთ. ჩვენ „იმედთან“ გვაქვს კონტრაქტი დადებული და უნდა შევასრულოთ მისი პირობები. ახალი პროგრამა უნდა გამოვუშვათ, თუნდაც ერთი დღე იყოს კონცერტი, მთავარია დაფიქსირდეს კონტრაქტის პირობების მიხედვით. კარგად ვიცით, რომ ერთი კონცერტი საკმარისი არ არის, მაგრამ უნდა ვიკმაროთ. ჩვენთვის მთავარია, რომ კონტრაქტი არ დავარღვიოთ და მერე რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს. იმედი გვაქვს უკეთესი მომავლის, ალბათ ხალხის მდგომარეობაც გამოსწორდება და შოუბიზნესისაც. უიმედოდ არ ვარგა ცხოვრება, მჯერა, ყველანი წელში გავიმართებით, მაყურებლებიც და მსახიობებიც. ამჯერად 35 მონაწილე გვყავდა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ვიყოთ დროის ადეკვატურები, ხალხის თვალი და ყური, ვისთვისაც ვიღწვით და ვისითაც ვარსებობთ, მათ არ ვუღალატოთ, მოგეხსენებათ, პრეზიდენტები და მინისტრები მიდიან და ხალხი რჩება. მაყურებელი მიჩვეულია, რომ სრულიად ახალი პროგრამა გვაქვს ხოლმე. ბევრი ახალი სახე დავიმატეთ. პირველ რიგში ჩვენ მივეცით შანსი დებიუტანტებს. რადგან ეს კონცერტი ფირზე უნდა დაფიქსირებულიყო და შემდეგ მრავალჯერ დატრიალდება, „იუმორინას“ აქვს რუბრიკა „დებიუტანტი“, სადაც გამოგვყავს ახალგაზრდები და ვეხმარებით კარიერულ წინსვლაში. სხვანაირად მათთვის ფართო საზოგადოების წინაშე გამოჩენა რთულია, რადგან დიდი ფულია რეკლამირება და პრომოუშენი. როგორც აქამდე გამოგვიყვანია არაერთი ნიჭიერი ხელოვანი სცენაზე, ასე იყო ამ კონცერტზეც. ამჯერად ნიჭიერი ავტორ-შემსრულებლები ილია გველესიანი და დავით კენჭიაშვილი წარვუდგინეთ საზოგადოებას. დათო კენჭიაშვილი შედარებით ცნობილია, თუმცა დიდ სცენასა და კონცერტებზე ნაკლებად სწყალობენ, უფრო რადიოში ატრიალებენ მის სიმღერებს, ამიტომ ჩვენ მივეცით შანსი. ასევე დავამატეთ ახალი რუბრიკა „ოჯახი იუმორინაში“, სადაც დათო როსტომაშვილის ქალ-ვაჟი გამოვიყვანეთ, ისინი მამას არაფრით ჩამოუვარდებიან. ერთი მღერის, მეორე კი არაჩვეულებრივად უკრავს დასარტყამ ინსტრუმენტებზე. თვითონ დათო კი მაყურებლის წინაშე წარდგა ტრიოში, რომელსაც „სამი კახელი“ ვუწოდეთ და მასში გავაერთიანეთ დათო როსტომაშვილი, ბესო ბერულაშვილი და გეგე სულხანიშვილი, რომლის დებიუტიც შედგა დიდ სცენაზე. ცნობილია, რომ ის ყველას უარს ეუბნება, მაგრამ ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და არ უთქვამს უარი. ეკრანზე, ფილმებში ხშირად ყოფილა და მიუღია მონაწილეობა, მაგრამ დიდ სცენაზე პირველად გამოვიდა მაყურებლის წინაშე. ტრადიციულად გვქონდა ბევრი სიახლე. სრულიად ახალი 20 წუთიანი რეპერტუარი წარმოადგინა პაროდიის თეატრმა, ახალი რეპერტუარი ჰქონდათ „ქუჩის მუსიკოსებს“, ტრადიციულად ჩვენ გვერდით იყვნენ კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი, ისინი თავისი საახალწლო დალოცვით და ხუმრობანარევი მილოცვებით მოეფერნენ მაყურებელს. თემურ წიკლაურმა შეასრულა სიმღერა მიუზიკლიდან „ფიროსმანი“, ახალი მონოლოგი შემოგვთავაზა ალეკო თეთრაშვილმა, ჩვენმა ლეწემ. თუ გახსოვთ, ჩვენი ლეგენდის მიხედვით, ის შინაბერების კლუბში მიდიოდა ამერიკაში სამუშაოდ და ახლა მოგვიყვა, თუ რა გადახდა თავს, „შინაბერებიდან შინისაკენ“ – ასე დავარქვით მის მონოლოგს.

***– ცოტა დიდი პაუზა ხომ არ გამოუვიდა ალეკო თეთრაშვილს?***

– პაუზაზე აღარ არის ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ თავად ქართული შოუბიზნესის მდგომარეობა ორი სიტყვით არც დაიწერება და არც ითქმის. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯობდა საერთოდ არ ჩარეულიყო სახელმწიფო შოუბიზნესის საქმეში, არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან.

***– ამ ჩარევამ გაზარალათ?***

– რა თქმა უნდა. ამ ჩარევამ ყველა აზარალა. სახელმწიფო საერთოდ განზე უნდა გამდგარიყო. ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებდა. ვისაც ხარისხიანი პროდუქცია ექნებოდა, მათ კონცერტებზე მივიდოდა საზოგადოება, ვისაც არა და არ ივლიდა მაყურებელი. მერე ის მომღერალი შეიცვლიდა პროფესიას და როგორც ხდება მსოფლიოში, ისე იქნებოდა აქაც. ჩვენთან კი რა მოხდა? მკვეთრად გაიზარდა ფასები კონცერტებზე, შესაბამისად, ძველი ხელისუფლება აკეთებდა ასეთ რამეს – მე გიხდი ფასს, თუკი ჩემ გვერდით ხარ და ჩემი კარის მომღერალი გახდები, მაგრამ თუ ჩემ გვერდით არ ხარ, აგერ დარბაზი, სულაც არ გიშლი, მიდი და ჩაატარე კონცერტიო, მაგრამ როგორ ჩაატარებდი კონცერტს, როცა ასეთი ფასები აქვს თუნდაც დარბაზის იჯარას?! როცა რენტაბელური არ არის და ექვსჯერ არის ფასები გაზრდილი?! ყველაზე მზაკვრული კი ის არის, რომ თვითონ ხელოვანები დააპირისპირეს ერთმანეთს, ეს იყო ამ ყველაფრის შედეგი. ჩააყენეს არათანაბარ მდგომარეობაში, ერთი კასტა გამოყვეს, ვინც იკადრა და მომღერლობა დაიბრალა, მათ უტარებდნენ კონცერტებს, ჩათვალეს თავისიანებად, ყველა კონცერტზე გამოდიოდნენ, მილიონებს ყრიდნენ მიუზიკლებში. დანარჩენები კი ყველა გაწიეს გვერდზე, ვისაც თავმოყვარეობა ჰქონდა და არ ჩაუჯდა ხელმწიფეს ნავში.

***– თქვენ რამდენად შეგეხოთ ეს ყველაფერი?***

– როგორ გგონიათ, მე, რომელიც მთელი დღე და მოსწრება ამათ კრიტიკაში ვარ და ამათ გაშაყირებაში, ვინმე რამეს მომცემდა? რა თქმა უნდა, არა. სხვათა შორის, არც არასდროს მითხოვია და არც არის ამის საჭიროება. რენტაბელურზე რენტაბელური ჩემი ფირმა გამაჩნია და გამაჩნდა ყოველთვის. არ უნდა ჩაერიოს არავინ ამ საქმეში. როცა მაქვს ფირმა და არაფერს გთხოვ, შენ კი ამ დროს ჩემნაირ ფირმას მილიონ ნახევარს ურიცხავ იმიტომ, რომ ის შენიანია, რანაირად შეიძლება ჩვენ თანაბარ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ? თანაც სახელმწიფო რომ ხარ, ვინ გეკითხება, გინდა თუ არა ამას დაეხმარე და იმას – არაო. რა შენი საქმეა? ბიუჯეტის ფულს, რომელიც ჩემიც არის, შენიც არის, სხვისიც არის, რატომ განკარგავ ასე, ვინ მოგცა ამის უფლება? ვინც გესიამოვნება, ვინც შენი მეხოტბეა და მლიქვნელია მილიონებს ახარჯავ და მეორეს ხელს უშლი და აზარალებ. ჩვენი ცნობილი მიუზიკლი „ფიროსმანი“, რომელმაც არაერთი გამარჯვება და აღიარება მოიპოვა, 120.000 დოლარად არის გაკეთებული. ამ დროს ხალხის ფული 2.500.000 დოლარია ჩადებული „ქეთო და კოტეში“, ეს ნორმალურია? ამ დროს „ფიროსმანი“ ჩვენ სპონსორების ფულით გვაქვს გაკეთებული. ამ შემთხვევაში არ ვეხები თვითონ მიუზიკლს, კარგია თუ ცუდი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ფინანსურ მხარეზე ვლაპარაკობ. როცა მიუზიკლში აიღებ და დააბანდებ ამხელა თანხას, რანაირად შეიძლება მცირებიუჯეტიანმა, თუნდაც ნიჭიერმა შემოქმედებითმა ჯგუფმა რამე გააკეთოს? ან თანაბრად უნდა განაწილებულიყო თანხები, ან გამდგარიყვნენ გვერდზე და დაეყენებინათ ერთი ადგილი. როდესაც ხელოვნურად რეგულირდებოდა ბაზარი იმის მიხედვით, ვინ იყო მათიანი და ვინ – სხვისიანი, ეს უკვე დანაშაულია. მაშინ ირევა რამსები, წლების მანძილზე ეკა კვალიაშვილს რომ არ გამოიყვან სცენაზე და, ჩემი ღრმა რწმენით, ნომერ პირველი მომღერალი რომ არის, განა ეს დანაშაული არ არის? მთელი თაობა იზრდება და არც კი იცის, თუ ასეთი მომღერალი გვყავს საერთოდ. სოფო ხალვაში გადასარევი მომღერალია, რამდენი ხანია არსად აღარ გინახავთ? უბრწყინვალესი გოგოა, ცეცხლია, მაგრამ ჩაწიეს უკან, იმიტომ, რომ მიშას ფავორიტი არ დაეჩრდილა. ეს რა უბედურებაა? იგივე ჩემი საყვარელი სიმღერა „თეთრი ვარდები“, რომელსაც არაჩვეულებრივად მღერის ნუკრი კაპანაძე, ჩაწერა ისევ იმ ფავორიტმა (იგულისხმება სოფო ნიჟარაძე – ავტ.), არაფერი მისი საწინააღმდეგო არ მაქვს, რუსეთში „ჩხიკვთა ქორწილში“ ქეთევანს თამაშობდა და დიდი სიმპათიით ვიყავი მის მიმართ, მაგრამ ეს აშკარად უარესი ჩანაწერია, ვიდრე ნუკრი კაპანაძის და თანაც გაუთავებლად ატრიალებენ. ხომ შეიძლება, რომ ორივე ჩანაწერი გაუშვან და მსმენელმა შეადაროს, რომელია კარგი და რომელი ცუდი და, შესაბამისად, აირჩიოს, რომელს მოუსმინოს და რომელს – არა. ხელოვნურად ვინმეს ჩაჩოჩება, გვერდზე გაწევა და ვინმეზე მილიონების დახარჯვა მარტო იმის გამო, რომ ის შენი ფავორიტია და შენი ხუშტური ეგეთია, არ არის სწორი საქციელი. ადამიანი ჯერ შინაგანად უნდა დალაგდეს და მერე იფიქროს ქვეყნის სათავეში მოსვლაზე. ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ შენ მრუშობასა და ნაყროვანებაზე მაღლა დგახარ. ანგელოზი არავინ არის, მაგრამ მუცელღმერთა მაინც არ უნდა იყო. ადამიანი უნდა დადიოდე თავის ტვინის ჭკუაზე და არა რომელიმე ორგანოს ჭკუაზე.

***– თქვენს კოლეგებზე, ვინც ხელმწიფის ნავში აღმოჩნდა, მათზე რას ფიქრობთ?***

– ჩემი კოლეგები მარტო იმიტომ კი არ არიან დამნაშავენი, რომ ამ კასტაში აღმოჩნდნენ, ზოგს ოჯახი აქვს, ზოგს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, ზოგი იძულებული გახდა, მათიც მესმის და არ ვძრახავ. მთელი მათი დანაშაული იმაშია, რომ ვერავინ ამოიღო ხმა და ვერ თქვა სიმართლე, რომ ასე აღარ შეიძლებაო. ამაშია მთელი უბედურება. ეთქვათ მაინც, რომ არ შეიძლება ესტრადაზე არ იყოს ნატო მეტონიძე, მაია ჯაბუა, ლიზა ბაგრატიონი, თამრიკო ჭოხონელიძე თავის დებთან ერთად, „ფორტე“ შესანიშნავი ანსამბლი წლების მანძილზე ხელოვნურად გაჩუმებული იყოს და მისი წევრი ზურა მანჯავიძე, ხუთი შვილის მამა, სამსახურის გარეშე დატოვონ იმიტომ, რომ მლიქვნელი არ არის და ერთ ადგილს არავის ულოკავს, „მხოლოდ შენ ერთს“ რუსეთში იძულებით გარბოდეს, მანანა თოდაძეა მოსკოვში და აღარ ჩამოვთვლი, იმდენი წავიდა იქ სამუშაოდ, გავსებულია იქაურობა ქართველი მომღერლებით. რატომ უნდა ხდებოდეს ასე, როცა ამაში ვართ ყველაზე მაგრები? რაც გვეხერხება, იმაში მაინც ნუ გვიშლიან ხელს. ვინ დაავალა, რომ ვიღაცას მილიონი მისცეს და ვიღაცა საერთოდ არ გამოუშვას სცენაზე?!

***– თქვენ ვის უშვებთ სცენაზე?***

– ჩვენ ყველას ვუშვებთ სცენაზე,



ვინც ნიჭიერი და კარგი მომღერალია. ამდენი წლის მანძილზე ეს არაერთხელ დავამტკიცეთ. ჩვენს კონცერტში მონაწილეობდნენ ბიძინა მახარაძე და მერაბ ნიკოლაიშვილი. ბიძინა უნიჭიერესი ადამიანია, მიხარია, რომ გვერდში გვიდგას, მით უმეტეს მაშინ, როცა გამოგვაკლდა ბრწყინვალე მზია კვირიკაშვილი. მისი წასვლაც დიდწილად განპირობებული იყო იმით, რომ ამისთანა ნიჭიერ ადამიანს გასაქანი არ მიეცა. ამისთანა ქალი იუმორის ჟანრში მოსკოვმა მიიწვია და აქ, „იუმორინას“ იქით, გასაქანი არ მისცეს. ისიც კი არ მოხერხდა, რომ მისთვის საღამო ჩაგვეტარებინა. აქ მილიონებზე კი არა, კაპიკებზე იყო ლაპარაკი. ეს არის უსამართლობა და დიდი ბოროტება.

***– ახალ მთავრობაზე რატომ არ იხუმრეთ?***

– ჩვენ ასეთი წესი გვაქვს – არასდროს მიკადრებია ახალი მთავრობის პირველ წელს რამე გამეკეთებინა სატირული. განა იმიტომ, რომ ასეთი რამე არ ხდებოდა, იმიტომ, რომ წესი არ არის. უნდა დააცადო ადამიანს, ეგება ამ წუთში არ გამოუვიდა და მერე გამოუვიდეს? 2003 წელს, ესენი რომ მოვიდნენ, ორი წლის განმავლობაში ხმა არ ამომიღია. ახალგაზრდები იყვნენ და მინდოდა გაემარჯვათ, თან უკეთესი ყოფილიყო ცხოვრება, მაგრამ როცა გაუტიეს და აღარ გაჩერდნენ, მერე უკვე პირში ვუთხარი ყველაფერი. მატერიალურადაც ბევრჯერ დავზარალებულვართ, სამაგიეროდ, ფეხზე ვდგავართ, ჩვენი მაყურებლის წინაშე მართლები ვართ, ჩვენი ხალხის სიყვარული და ღირსება არ დაგვიკარგავს.

***– ახალ მთავრობასაც ორ წელს აცდით?***

– შეიძლება ორი წელი ბევრია, მაგრამ ერთი წელი მაინც უნდა ვაცადოთ. რადგან ახალი ავირჩიეთ, ე.ი. ძველი არ მოგვწონდა ხომ? ჰოდა, ვაცადოთ ამათ, რომ გამოასწორონ მდგომარეობა, ამ ყველაფერს ხომ დრო უნდა? საბოტაჟის ძალიან გამოკვეთილი ნიშნებია ამ ბოლო დროს. საუკუნეების მანძილზე არასდროს ქართველ მუსლიმანებს სასაფლაოებზე ჯვრები არ დაუმტვრევიათ, რაღა ახლა მოუნდათ მაინცდამაინც? რაშია საქმე? ისევ მიდის ჩალიჩი, რომ დაბრუნდნენ უკან, მაგრამ ეგ ამბავი არ მოხდება. ხალხმა შეიძლება გადაირჩიოს ეს მთავრობა, მაგრამ საცოცხეთში აღარ დაბრუნდება. არ მინდოდა პოლიტიკაზე ლაპარაკი, მაგრამ ისე ღრმად შეიჭრა ყველგან, რომ მის გარეშე ვერავინ არსებობს. პოლიტიკა შემოიჭრა კი არა და მოკლა შოუბიზნესი, თორემ გახსოვთ, როგორი გაჭირვება იყო, მაგრამ კონცერტებზე ხალხი მაინც დადიოდა და დიდ საკონცერტო დარბაზშიც კონცერტი კონცერტზე ტარდებოდა. ესენი ხელოვნურად კლავდნენ შოუბიზნესს და იმედია ახალი მთავრობა მაინც მიხვდება, რომ ხელოვნებაში არ უნდა ჩაერიოს.

***– ბოლო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის პერსონა დაკნინდა. თქვენს „იუმორინაშიც“ ხომ არ კარგავს აქტუალობას?***

– არა, ჩვენთან პრეზიდენტს ახალი შანსები გაუჩნდა. იგი ადეკვატურია იმისა, რაც ხდება. ახლა მას საცეკვაო კონკურსში მივაღებინეთ მონაწილეობა, იმიტომ, რომ ფუნქცია დაკარგა. გოჩა ჩერტკოევი დაპირდა, რომ თუ კარგად იცეკვებს, ამერიკაში წაიყვანს. ჩვენ უფრო მეტ პერსპექტივას ვაძლევთ პრეზიდენტს, გამოიჩინოს თავი როგორც ნიჭიერმა მოცეკვავემ, ისედაც კი უყვარს ლხინი და გზებზე სუფრის გადაფენა და წავიდეს ამერიკაში და ილხინოს, ჩვენც დავისვენებთ და ისიც. მეტი შანსის მიცემა, რაც ჩვენმა ხალხმა პრეზიდენტს მისცა, უბრალოდ წარმოუდგენელია – 9 წელიწადი იტანდა მის ცელქობებსაც და უგუნურ საქციელსაც. აღარაფერს ვამბობ ვარდების რევოლუციამდელ ქმედებებზე, როცა მოქალაქეთა კავშირში იყო. მოდით შევთანხმდეთ, რომ არსებობს სიტყვა კარგი, მაგრამ არსებობს სიტყვები უკეთესი და საუკეთესო, იმიტომ არის არჩევნები, რომ მაინცდამაინც ცუდი კი არა, კარგი მინდა ავირჩიო, მერე ეს კარგი რომ აღარ მომეწონება, უკეთესი მომინდეს, მერე საუკეთესო, მერე ბრწყინვალე, მერე გადასარევი, მერე სუპერი და ა.შ. არავის აქვს უფლება, ამიკრძალოს არჩევანის გაკეთება, რადგან კონსტიტუციურად მაქვს ამის უფლება. ის მაგიჟებს, რომ ესენი გამოდიან და ყველაფერს, ჟარგონს თუ გამოვიყენებთ, უსირცხვილოდ „აპრავებენ“. ჩვენს ერთ-ერთ ნომერშიც ხომ იყო, სადაც ჩიორა თაქთაქიშვილი დებატებშია ლევან ბერძენიშვილთან: თქვენს პრეზიდენტს პირველი ღამის უფლება უნდა რომ დაიკანონოს და ამასაც გაამართლებთო? ეკითხება ბერძენიშვილი. ჩიორა ეუბნება, რა თქმა უნდა, გავამართლებთო და ამართლებს კიდეც – აბა, ავიღოთ მაგალითად XII საუკუნე, როცა ეგ კანონი მოქმედებდა, 12 მილიონი ვიყავით, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, „ვეფხისტყაოსანიც“ კი დავწერეთო. დღეს ეგ კანონი აღარ მოქმედებს და ხედავთ, 5 მილიონიც აღარ ვართ და თანაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა კი არა, წაკითხვაც კი გვიჭირს და ახლა თვითონ შეადარეთო. როგორც წყლის წვეთში ოკეანის სტრუქტურა აისახება, ასეთია მათი დემაგოგია. არ აქვს მნიშვნელობა არსს, შინაარსს, ჭეშმარიტებაზე ხომ ჯვარი გვწერია, მთავარია ლოკალური მისია შესრულდეს, რომ იმ წუთში თვალში ნაცარი შეაყარონ საზოგადოებას. ასე ცხოვრება რომ აღარ შეიძლება, ამას ვერ ხვდებიან. ყოველთვის რაღაც უკეთესი უნდა მოვნახოთ, აბა, მცირე ქვეყანა ვართ, არც ოქრო გვაქვს, არც ნავთი, არც გაზი, არც ტაიგა და არც არაფერი, უნდა ვიბრძოლოთ. იცით რამდენი სამაგალითო ადამიანია ჩრდილში, რომელიც სამაგალითოა თავისი ცხოვრებით, აზროვნებით, რწმენით და ამ ჩიორას რატომ გვატენიან ყოველ წუთში? არ შეიძლება სხვა პიროვნებებზე ვისაუბროთ, რომლებიც სამაგალითოები არიან? ისედაც ბევრი რამით ცდილობენ ერის გადაჯიშებას, ერის გენოციდს, დაკნინებას, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს დუმილის უფლება, ბევრი პრობლემაა გარშემო და მათ მოგვარებაზე ერთად უნდა ვიფიქროთ. კიდევ ერთი, რის დაკნინებასაც ცდილობენ, ეს არის ჩვენი ტრადიციები. როგორც კი ამ თემაზე გადაცემებში იწყება საუბარი, მაშინვე ახსენდებათ, რომ რეკლამაა, დრო არ აქვთ და ორი სიტყვით ვისაუბროთ ამ თემაზეო. დალოცვილებო, ამდენსაუკუნოვანი ერი ვართ და ორი სიტყვით როგორ ვისაუბრო ტრადიციებზე? შეხედეთ იაპონიას, არც ერთი ტრადიცია არ აქვთ დათმობილი და მსოფლიოში პირველ-მეორე ადგილს იყოფს. ერთადერთხელ ჩინეთმა უარი თქვა ლაოძის და კონფუცის გზაზე და დედა ეტირა ამ მრავალმილიარდიან ქვეყანას, განადგურდა და ძლივს შემოტრიალდა. აღმოჩნდა, რომ შაოლინელმა ბერებმა და ფილოსოფოსებმა სპეციალურად არ გააჩერეს ჩინელები, რათა ენახათ, რაშია საქმე და ერთი თაობა ამისთვის გაწირეს. სამაგიეროდ, მიხვდნენ, რომ ტრადიციებს განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. აი, რას ნიშნავს ტრადიციებზე დაყრდნობით ქვეყნის ბრძნული მართვა. როცა შენს ერს ტრადიციების გამოცლას დაუპირებ, ანდა ჩანაცვლებას დაუპირებ რომელიმე საეჭვო ღირებულების ფასეულობით, ასეთ შემთხვევაში ფესვს უჭრი და ძირმაგარ მუხას ბაზუაწვერად აქცევ, რომ საითაც ქარი დაუბერავს, იქით წაიღოს. აი, ეს უნდა გლობალიზაციასაც. ტერიტორიების ათვისებისას უნდა შეიჭამოს პატარა ერი, აი, რატომ არ უნდათ არც ჩვენი ტრადიციები, არც ანბანი, არც ენა, არც კულტურა, არც სიმღერა, არც ცეკვა და უნდათ გავქრეთ ისე, როგორც არაერთი ერი გაქრა. სიფრთხილე გვმართებს ქართველებო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე სარწმუნოებამ და ტრადიციების ერთგულებამ გადაგვარჩინა!

# ინგლისი ლონდონურ დერბის ელის, იტალიაში ინტერი დედაქალაქში ჩადის

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.01 | ვესტ ჰემი-ქპრ | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 19.01 | ლივერპული-ნორვიჩი | 1.3 | 5.5 | 10.0 |
| 19.01 | უიგანი-სანდერლენდი | 2.1 | 3.3 | 3.6 |
| 19.01 | სიტი-ფულემი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 19.01 | ნიუკასლი-რედინგი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 19.01 | სუონსი-სტოკი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 19.01 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 20.01 | ჩელსი-არსენალი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 20.01 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2.87 | 3.4 | 2.4 |
| 21.01 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 3.4 | 3.6 | 2.05 |

### ვესტ ჰემი-ქპრ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო ობრაიენი, ჯორჯ მაკკარტნი, მოჰამედ დიამე, ენდი კეროლი

ქპრ: ***ტრავმ***-ესტებან გრანერო, არმანდ ტრაორე, ჯუნიორ ჰოილეტი, ხოსე ბოსინგვა, ბობი ზამორა, ენდრიუ ჯონსონი

### ლივერპული-ნორვიჩი

ლივერპული: ***ტრავმ***-ხოსე ენრიკე, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ჯონი ჰაუსონი, სტივენ მორისონი, გრანტ ჰოლტი, სტივენ ვაიტაკერი, ენდრიუ სურმანი, ჯონ რუდი

### უიგანი-სანდერლენდი

უიგანი: ***ტრავმ***-ანტოლინ ალკარაზი, ადრიან ლოპესი, ბენ ვოტსონი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანი როუზი, კარლოს გუელარი, შტეფან სესინიონი, ჯონ ოში, ლი კატერმოლი, ვესლი ბრაუნი

### სიტი-ფულემი

სიტი: ***ტრავმ***-იაია ტურე, ერხიო აგუერო, მაიკონი, ალექსანდრ კოლაროვი, მიკა რიჩარდსი, ჯეკ როდველი

ფულემი: ***ტრავმ***-იონ არნე რიისე, სტივენ კელი, დამიენ დაფი, მარკ შვარცერი, მლადენ პეტრიჩი, მაჰამადუ დიარა

### ნიუკასლი-რედინგი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ფაბრიციო კოლოჩინი, პაპის სისე, ჯეიმს პერჩი, დანი სიმპსონი, ხონას გუტიერესი, ჰატემ ბენ არფა, სტივენ ტეილორი, იოან კაბაიე, რაიან ტეილორი

რედინგი: ***ტრავმ***-ჰალ რობსონკანუ, მიკელე ლეიგერტვუდი, კეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი

### სუონსი-სტოკი

სუონსი: ***ტრავმ***-ნეილ ტეილორი

სტოკი: ***ტრავმ***-რორი დელაპი, მარკ უილსონი

### ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ზოლტან გერა, სტივენ რიდი, იონას ოლსონი, გორან პოპოვი, კლაუდიო იაკობი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-მარკ ოლბრაიტონი, ეშლი ვესტვუდი, დარენ ბენტი, რონი ვლაარი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

### ჩელსი-არსენალი

ჩელსი: ***ტრავმ***-პეტრ ჩეხი, იოსი ბენაიუნი, ორიოლ რომეუ, ჯონ ტერი

არსენალი: ***ტრავმ***-ოლივიე ჟირუ, აბუ დიაბი, ანდრე სანტოსი, ლუკაშ ფაბიანსკი

### ტოტენჰემი-მანჩესტერი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-უილიამ გალასი, იუნის ქაბული

მანჩესტერი: ***ტრავმ***-უეინ რუნი, ფილ ჯონსი, ანდერსონი, ნანი

### საუთჰემპტონი-ევერტონი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ხოსე ფონტე, გასტონ რამირესი, ნატანიელ კლინი, ადამ ლალანა

ევერტონი: ***ტრავმ***-ლეიტონ ბაინესი, ჯონ ჰეიტინგა, დარონ გიბსონი, ტონი ჰიბერტი, კევინ მირალასი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 22 | 18 | 1 | 3 | 56:29 | 55 |
| 2.სიტი | 22 | 14 | 6 | 2 | 43:19 | 48 |
| 3.ჩელსი | 22 | 12 | 6 | 4 | 45:21 | 42 |
| 4.ტოტენჰემი | 22 | 12 | 4 | 6 | 39:27 | 40 |
| 5.ევერტონი | 22 | 9 | 10 | 3 | 35:26 | 37 |
| 6.არსენალი | 21 | 9 | 7 | 5 | 40:24 | 34 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 10 | 3 | 9 | 31:30 | 33 |
| 8.ლივერპული | 22 | 8 | 7 | 7 | 35:28 | 31 |
| 9.სუონსი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:26 | 30 |
| 10.სტოკი | 22 | 6 | 11 | 5 | 21:24 | 29 |
| 11.ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:27 | 26 |
| 12.ნორვიჩი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:34 | 26 |
| 13.ფულემი | 22 | 6 | 7 | 9 | 33:38 | 25 |
| 14.სანდერლენდი | 22 | 6 | 7 | 9 | 24:29 | 25 |
| 15.საუთჰემპტონი | 22 | 5 | 7 | 10 | 30:40 | 22 |
| 16.ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 27:39 | 21 |
| 17.ასტონ ვილა | 22 | 4 | 7 | 11 | 17:42 | 19 |
| 18.უიგანი | 22 | 5 | 4 | 13 | 23:40 | 19 |
| 19.რედინგი | 22 | 3 | 7 | 12 | 26:42 | 16 |
| 20.ქპრ | 22 | 2 | 8 | 12 | 17:36 | 14 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.01 | გრანადა-რაიო | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 19.01 | სოსიედადი-ბარსელონა | 9.5 | 5.5 | 1.28 |
| 19.01 | ხეტაფე-სევილია | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 19.01 | მალაგა-სელტა | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 20.01 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.95 | 3.4 | 3.8 |
| 20.01 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2.05 | 3.4 | 3.8 |
| 20.01 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 20.01 | ვალენსია-რეალი | 4.5 | 3.75 | 1.73 |
| 21.01 | ბეტისი-ბილბაო | 1.91 | 3.6 | 3.6 |

### გრანადა-რაიო

გრანადა: ***ტრავმ***-დანიელ ბენიტესი, დარვინ მარჩისი, იუსიფ ელ არაბი, ტონო

რაიო: ***ტრავმ***-მიკელ ლაბაკა

### სოსიედადი-ბარსელონა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კლაუდიო ბრავო, კადამურო; ***დისკვ***-ინიგო მარტინესი, მიკელ გონსალესი, დანიელ ესტრადა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ადრიანო

### ხეტაფე-სევილია

ხეტაფე: ***ტრავმ***-აბდელაზიზ ბარადა, მეჰდი ლაკენი, მანე, პედრო ლეონი

სევილია: ***ტრავმ***-პიოტრ ტროხოვსკი

### მალაგა-სელტა

მალაგა: ***ტრავმ***-ჟულიო ბაპტისტა

სელტა: ***ტრავმ***-ანდრეს ტუნეცი, ჰუგო მალო, სამუელ ლორკა

### ოსასუნა-დეპორტივო

ოსასუნა: ***ტრავმ***-რაულ ლოე, რობერტო ტორესი, ასიერ რიესგო, ანტონი ანანი, სისი მასუდ შოჯაიე

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლაურე, აიოზე

### ვალიადოლიდი-სარაგოსა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ვიქტორ პერესი, მანუშო

სარაგოსა: ***ტრავმ***-რომარიკი, ივან ობრადოვიჩი

### ატლეტიკო-ლევანტე

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აბდელკადერ უოელასტი

ლევანტე: ***ტრავმ***-ხოსე ბარკერო

### ვალენსია-რეალი

ვალენსია: ***ტრავმ***-ფერნანდო გაგო

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, ხაბი ალონსო

### ბეტისი-ბილბაო

ბეტისი: ***ტრავმ***-ხოსე კანასი, ხუან კარლოსი, ალექს მარტინესი, ხოსე დორადო

ბილბაო: ***ტრავმ***-ხაბიერ კასტილიო, რუიზ დე გალარეტა, ინიგო პერესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 18 | 1 | 0 | 64:20 | 55 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 40:18 | 44 |
| 3.რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:20 | 37 |
| 4.ბეტისი | 19 | 11 | 1 | 7 | 30:29 | 34 |
| 5.მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 29:16 | 31 |
| 6.რაიო | 19 | 10 | 1 | 8 | 27:34 | 31 |
| 7.ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27:27 | 30 |
| 8.ლევანტე | 19 | 9 | 3 | 7 | 24:27 | 30 |
| 9.სოსიედადი | 19 | 7 | 5 | 7 | 28:25 | 26 |
| 10.ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:25 | 25 |
| 11.ხეტაფე | 19 | 7 | 4 | 8 | 26:28 | 25 |
| 12.სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23:28 | 22 |
| 13.სარაგოსა | 19 | 7 | 1 | 11 | 20:28 | 22 |
| 14.ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23:38 | 21 |
| 15.ესპანიოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | 18 |
| 16.სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19:24 | 18 |
| 17.გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 16:29 | 17 |
| 18.მალიორკა | 19 | 4 | 5 | 10 | 18:33 | 17 |
| 19.დეპორტივო | 19 | 3 | 7 | 9 | 23:40 | 16 |
| 20.ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14:20 | 15 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.01 | პალერმო-ლაციო | 3.1 | 3.25 | 2.3 |
| 19.01 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 20.01 | ფიორენტინა-ნაპოლი | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 20.01 | კიევო-პარმა | 2.45 | 3.2 | 2.9 |
| 20.01 | მილანი-ბოლონია | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 20.01 | ჯენოა-კატანია | 2.4 | 3.25 | 3.0 |
| 20.01 | პესკარა-ტორინო | 2.75 | 3.1 | 2.62 |
| 20.01 | ატალანტა-კალიარი | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 20.01 | სიენა-სამპდორია | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 20.01 | რომა-ინტერი | 2.0 | 4.0 | 3.2 |

### პალერმო-ლაციო

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბრიციო მიკოლი, მასიმო დონატი, ანდრეა მანტოვანი, აბელ ჰერნანდესი; იოსიპ ილიჩიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარჩეტი, ოგენი ონაზი, ანდრე დიასი, ედერსონი

### იუვენტუსი-უდინეზე

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

უდინეზე: ***ტრავმ***-მატიას რანეგი, ემანუელ ბადუ, მეჰდი ბეთანია

### ფიორენტინა-ნაპოლი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დავიდ პიზარო, მოუნირ ელ ჰამდაიუ; ***დისკვ***-რუბენ ოლივეირა

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლეანდრო რინაუდო

### კიევო-პარმა

კიევო: ***ტრავმ***-პერპარიმ ჰატემაი, მამადუ სამასა, ბუქარი დრამე, რინალდო კრუსადო

პარმა: ***ტრავმ***-კრისიტან ძაკარდო, დანიელე გალოპა

### მილანი-ბოლონია

მილანი: ***ტრავმ***-კევინ კონსტანტი, მასიმო ამბროზინი, რობინიო, სალი მუნტარი, კრისტიან ზაპატა, დანიელე ბონერა, მარიო იეპესი, ჯამელ მესბანაიჯელ დე იონგი

ბოლონია: ***ტრავმ***-ჰენრი ხიმენესი, ჩეზარე ნატალი

### ჯენოა-კატანია

ჯენოა: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, ბოშკო იანკოვიჩი, ჩეზარე ბოვო, კრისტობალ ხორკერა, დამიანო ფერონეტი

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ალვარესი, მარკო ბიაჯიანტი, ფაბიო სკიაცა

### პესკარა-ტორინო

პესკარა: ***ტრავმ***-სიმონე რომანოლი, ლუკა ლული, ჯანლუკა გაპრარი, ხუან ქინტერო, უროს კოსიჩი, მანუელ ბლაზი

ტორინო: ***ტრავმ***-მარიო სანტანა, ანჯელო ოგბონა

### ატალანტა-კალიარი

ატალანტა: ***ტრავმ***-ჯანპაოლო ბელინი, სტეფანო ლუჩინი, ადრიანო პინტუ

კალიარი: ***ტრავმ***-სებასტიან ერიქსონი, ლორენცო არაუდო

### სიენა-სამპდორია

სიენა: ***ტრავმ***-არავინ

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლას პოცი, ენცო მარესკა, მაქსი ლოპესი

### რომა-ინტერი

რომა: ***ტრავმ***-პაბლო ოსვალდო, დოდო, ალესიო რომანოლი, ლეანდრო გასტანი, როდრიგო ტადეი

ინტერი: ***ტრავმ***-ვალტერ სამუელი, ვალტერ გარგანო, რიკარდო ალვარესი, იუტო ნაგატომო, ლუკა კასტელაცი, ვესლი სნეიდერი, გაბი მუდინგაი, ჯოელ ობი, დეიან სტანკოვიჩი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 14 | 3 | 3 | 41:14 | 45 |
| 2.ნაპოლი | 20 | 13 | 3 | 4 | 40:18 | 42 |
| 3.ლაციო | 20 | 13 | 3 | 4 | 30:19 | 42 |
| 4.ინტერი | 20 | 12 | 2 | 6 | 32:22 | 38 |
| 5.ფიორენტინა | 20 | 10 | 5 | 5 | 37:24 | 35 |
| 6.რომა | 20 | 10 | 2 | 8 | 43:34 | 32 |
| 7.მილანი | 20 | 9 | 4 | 7 | 36:27 | 31 |
| 8.უდინეზე | 20 | 7 | 9 | 4 | 32:27 | 30 |
| 9.პარმა | 20 | 8 | 6 | 6 | 28:26 | 30 |
| 10.კატანია | 20 | 8 | 5 | 7 | 27:27 | 29 |
| 11.კიევო | 20 | 7 | 3 | 10 | 21:33 | 24 |
| 12.ტორინო | 20 | 5 | 9 | 6 | 23:24 | 23 |
| 13.ატალანტა | 20 | 7 | 3 | 10 | 18:30 | 22 |
| 14.ბოლონია | 20 | 6 | 3 | 11 | 25:26 | 21 |
| 15.სამპდორია | 20 | 6 | 4 | 10 | 22:28 | 21 |
| 16.პესკარა | 20 | 6 | 2 | 12 | 17:37 | 20 |
| 17.კალიარი | 20 | 6 | 4 | 10 | 19:36 | 19 |
| 18.ჯენოა | 20 | 4 | 5 | 11 | 21:32 | 17 |
| 19.პალერმო | 20 | 3 | 6 | 11 | 16:32 | 15 |
| 20.სიენა | 20 | 4 | 5 | 11 | 19:31 | 11 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.01 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 19.01 | მაინცი-ფრაიბურგი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 19.01 | ბაიერნი-ფიურტი | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 19.01 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 19.01 | ჰოფენჰაიმი-გლადბახი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 19.01 | ვერდერი-დორტმუნდი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 20.01 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 20.01 | ფორტუნა-აუგსბურგი | 2.37 | 3.2 | 3.1 |

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 44:7 | 42 |
| 2.ლევერკუზენი | 17 | 10 | 3 | 4 | 33:22 | 33 |
| 3.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 35:20 | 30 |
| 4.აინტრახტი | 17 | 9 | 3 | 5 | 33:27 | 30 |
| 5.ფრაიბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:18 | 26 |
| 6.მაინცი | 17 | 8 | 2 | 7 | 24:21 | 26 |
| 7.შალკე | 17 | 7 | 4 | 6 | 27:25 | 25 |
| 8.გლადბახი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:26 | 25 |
| 9.შტუტგარტი | 17 | 7 | 4 | 6 | 21:28 | 25 |
| 10.ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:21 | 24 |
| 11.ჰანოვერი | 17 | 7 | 2 | 8 | 32:31 | 23 |
| 12.ვერდერი | 17 | 6 | 4 | 7 | 28:29 | 22 |
| 13.ფორტუნა | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| 14.ნიურნბერგი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:22 | 20 |
| 15.ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:27 | 19 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 17 | 3 | 3 | 11 | 23:41 | 12 |
| 17.აუგსბურგი | 17 | 1 | 6 | 10 | 12:29 | 9 |
| 18.ფიურტი | 17 | 1 | 6 | 10 | 11:28 | 9 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.01 | მარსელი-მონპელიე | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 19.01 | სოშო-რეიმსი | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 19.01 | აიაჩო-ვალანსიენი | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 19.01 | ბრესტი-სენტ ეტიენი | 3.1 | 3.2 | 2.3 |
| 19.01 | ტულუზა-ნანსი | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 19.01 | ლორიენი-ტრუა | 1.57 | 3.75 | 6.5 |
| 20.01 | ბასტია-რენი | 3.1 | 3.2 | 2.37 |
| 20.01 | ლილი-ნიცა | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 20.01 | ბორდო-პსჟ | 4.0 | 3.25 | 2.0 |

### მარსელი-მონპელიე

მარსელი: ***ტრავმ***-ბენუა შეროუ, კასიმ აბდალაჰი

მონპელიე: ***ტრავმ***-მარკო ესტრადა, ბენჯამინ სტამბული, ჯამე საიჰი, იორის მავრო, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

### სოშო-რეიმსი

სოშო: ***ტრავმ***-კარლაო, კალილუ ტრაორე, სედრიკ კანტე, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

რეიმსი: ***ტრავმ***-ნიკოლას ფოვერჟე

### აიაჩო-ვალანსიენი

აიაჩო: ***ტრავმ***-მეჰდი მოსფეტა, ფუსენი დიავარა, ჩაჰირ ბელაზოუანი, სიგამარი დიავარა, კარლ მედიან, რიკარდო ფატი, დამიენ ტიბერი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-რემი გომისი, ჟილი, ჟილ დანიჩი

### ბრესტი-სენტ ეტიენი

ბრესტი: ***ტრავმ***-ბენუა ლესომიერი, ლარსენ ტურე, ადამა ბა

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-ფაუზი გულამი, მაქს გრადელი, ალეხანდრო ლონსო, ბანელ ნიკოლიტა, ისმაილ დიომანდე

### ტულუზა-ნანსი

ტულუზა: ***ტრავმ***-პაველ ნიკოლოვი

ნანსი: ***ტრავმ***-ჯეფ ლუსი

### ლორიენი-ტრუა

ლორიენი: ***ტრავმ***-ალაინ ტრაორე, იან ჟოფრე, ლუკას მარეკო, რემი მულუმბა, არნო დე ლანი

ტრუა: ***ტრავმ***-ჟან კრისტოფ ბაებეკი, მაქსიმ კოლინი, სებასტიენ გრო

### ბასტია-რენი

ბასტია: ***ტრავმ***-ჟილ ანგულა, მეტიუ სანსი, სილვიან მარშალი

რენი: ***ტრავმ***-ჟან მაკუნი, აბდულაიე სანე

### ლილი-ნიცა

ლილი: ***ტრავმ***-ფრანკ ბერია, ტულიო დე მელო

ნიცა: ***ტრავმ***-სტეფან ბაოკენი, ფაბიენ დაო კასტელანა, კევინ ანინი, დიაჩკო ფოფანა

### ბორდო-პსჟ

ბორდო: ***ტრავმ***-ჟან მაკუნი, აბდულაიე სანე

პსჟ: ***ტრავმ***-მოჰამედ სისოკო, სილვიან არნო, მეტიუ ბოდმერი, გრეგორი ვან დერ ვილი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 20 | 12 | 5 | 3 | 35:18 | 41 |
| 2.პსჟ | 20 | 11 | 6 | 3 | 36:12 | 39 |
| 3.მარსელი | 20 | 12 | 2 | 6 | 25:23 | 38 |
| 4.ბორდო | 20 | 7 | 11 | 2 | 23:14 | 32 |
| 5.ნიცა | 20 | 8 | 8 | 4 | 31:26 | 32 |
| 6.რენი | 20 | 10 | 2 | 8 | 29:26 | 32 |
| 7.ლორიანი | 20 | 8 | 7 | 5 | 32:31 | 31 |
| 8.ლილი | 20 | 7 | 9 | 4 | 25:20 | 30 |
| 9.მონპელიე | 20 | 8 | 5 | 7 | 31:24 | 29 |
| 10.ვალანსიენი | 20 | 8 | 5 | 7 | 31:29 | 29 |
| 11.სენტ ეტიენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26:16 | 28 |
| 12.ტულუზა | 20 | 7 | 6 | 7 | 27:22 | 27 |
| 13.ბასტია | 20 | 7 | 4 | 9 | 28:42 | 25 |
| 14.ბრესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 22:28 | 24 |
| 15.აიაჩო | 20 | 5 | 7 | 8 | 21:29 | 20 |
| 16.რეიმსი | 20 | 4 | 7 | 9 | 17:22 | 19 |
| 17.სოშო | 20 | 5 | 4 | 11 | 20:30 | 19 |
| 18.ევიანი | 20 | 5 | 4 | 11 | 22:34 | 19 |
| 19.ტრუა | 20 | 2 | 7 | 11 | 21:39 | 13 |
| 20.ნანსი | 20 | 1 | 9 | 10 | 17:35 | 12 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**



# გამოვემშვიდობოთ ლეგენდას?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი დასასრულისკენ მიდის და ამაზე რაფაელ ბენიტესმა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ღიად ისაუბრა.

როგორც ინგლისური მედია წერს, ლამპარდის „ჩელსიდან“ გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა თავად მიიღო.

ლამპარდის ბედს კი არაერთ გუნდს უკავშირებენ: მაგალითად, ამბობენ, რომ „არსენალსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ სურთ ძალიან მისი გადაბირება, „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ახსენეს ამ სიაში.

ეგ კი არა, ასეთი სქემაც დახაზეს: როგორც იქნა, პოლ სქოულზი პენსიაზე გადის, ნახევარდაცვაში კი ლამპარდი, ფლეტჩერი და ქლევერლი ითამაშებენო.

იყო ჩინეთის ვარიანტიც, სადაც „ლამპსის“ ყოფილი თანაგუნდელები, დიდიე დროგბა და ნიკოლა ანელკა არიან და არც ამერიკის ვარიანტი უნდა დავივიწყოთ, კერძოდ კი – „ლოს ანჯელეს გალექსის“.

საუბრები მიდის მის „იუვენტუსში“ გადაბარგებაზეც, სადაც ანდრეა პირლოს უწყვილებენ.

„საუთჰემპტონთან“ (5:1) სათასო შეხვედრისას „არისტოკრატთა“ გულშემატკივართა ბანერი გამოჩნდა, სადაც ეწერა: „გაუხანგრძლივეთ ლამპარდს კონტრაქტი“!

### ლამპარდი პრემიერლიგაში

ამ სეზონის პრემიერლიგაში ფრენკ ლამპარდმა 12 თამაშში (10 მოგება, ერთი ფრე და ერთიც წაგება) მიიღო მონაწილეობა, გაიტანა 6 გოლი და კლუბის ისტორიაში რამდენიმე მიზეზითაც ჩაეწერა.

მაგალითად, მე-18 ტურში ფრენკმა თავისი მე-500 (!) სასტარტო შეხვედრა ჩაატარა, რითაც ამ ოცწლიან რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებს. მის წინ მხოლოდ დევიდ ჯეიმსი (571 მატჩი), გარი სპიდი (521) და რაიან გიგზი (508) არიან.

გარდა ამისა, 19 დეკემბერს „ჩელსიმ“ ინგლისის ლიგის თასზე „ლიდს იუნაიტედს“ სძლია, ლამპარდმა კი თავის ანგარიშზე 350-ე მოგება ჩაიწერა.

„საუთჰემპტონთან“ ზემოთ ნახსენებ შეხვედრაში კი 193-ე გოლი გაიტანა „ჩელსის“ რიგებში, რის შედეგადაც გუნდის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში უკვე მეორე ადგილზე იმყოფება.

34 წლის ლეგენდარულ ნახევარმცველს ახლა მხოლოდ ბობი ტემბლინგი უსწრებს 10 გოლით, თუმცა, თუ კლუბიდან გაუშვეს, ვეღარ გადაასწრებს.

### იქნებ, დავტოვოთ?

სანამ ჩვენ აქ რაღაც ვარიანტებს განვიხილავთ, ფაქტია, რომ „ჩელსის“ ხელმძღვანელობას დაავიწყდა, თუ რა დონის ფეხბურთელს ასხვისებს.

„ლამპსი“ ყველა დროის ყველა სქემაში ჯდებოდა: მოურინიოს 4-4-2, 4-3-3, დი მატეოს და ბენიტესის 4-2-3-1 და ა.შ.

რატომ არ შეიძლება ლამპარდის ფლეიმეიქერად გამოყენება, როდესაც შეტევებს შექმნის, ხოლო დამამთავრებელ ფაზაში ისეთი შემსრულებლები ჰყავს „ჩელსის“, როგორებიც მატა, აზარი და ოსკარი არიან?

მართალია, ამჟამად ლამპარდი ის შემტევი ნახევარმცველი ვეღარ არის, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო, თუმცა, მეტოქეთა კარის დალაშქვრა რომ ძველებურად შეუძლია, ეს 30 დეკემბერსაც დაამტკიცა – „გუდისონ პარკზე“ „ევერტონს“ დუბლი უთავაზა.

უდიდესი, უძლიერესი, ბრწყინვალე და უდიდესი გამოცდილების მქონე ფეხბურთელი, რომელიც ყველგან შესანიშნავად ასპარეზობდა.

ლამპარდი არის ნამდვილი გენიალური ფეხბურთელი, რომელიც „ჩელსის“ ნამდვილი ხერხემალია.

გიგზი, სქოულზი, ჯერარდი და, რაღა თქმა უნდა, ლამპარდი – პრემიერლიგას ბრწყინვალე ფეხბურთელები და თაობა ჰყავს.

„ჩელსის“ ქომაგები პროტესტის მოწყობას გეგმავენ, რადგან ძალიან უნდათ თავიანთი ლეგენდის გუნდში დარჩენა და ისიც ფაქტია, რომ ფრენკის გაშვებით ბოსობის რეპუტაცია კიდევ უფრო დაეცემა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მისაღებია თუ არა პროტესტის გამოხატვა ცოცხებით?

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საერთოდ რაზე ვიტკიებთ აუტკივარ თავს ეს ქართველები, კარგად ვერ გამიგია.

დღეს ვის მოსწონს და ვის არა, არ ვიცი, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში მაესტრო მხოლოდ ერთი ადამიანია და ვიდრე თავად არ მოინდომებს, ყოველთვის იქნება ანგარიშგასაწევი ძალა. ჯერ კიდევ არ იყო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკისკენ გახედვის სურვილიც კი, რომ ჭორვილაში ტალახს უყენებდნენ ხელმოცარული თუ პერსპექტიული პოლიტიკოსები. ის ცალკე საკითხავია, ტალახი საიდან მოჰონდათ მილიარდერის კართან მისულ ხალხს, მაგრამ კოკასა შიგან რაცა დგასო, მოგეხსენებათ, შოთამ ბრძანა!

ჩემს თვალში ძალიან ბევრი ხელმოცარული პოლიტიკოსი დღესაც ცდილობს საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას იმით, რომ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა აკერიათ ენაზე. არადა ქართული პოლიტიკის მაესტრომ თქვა: შემოდგომაზე იქნება არჩევნებიო! ვითომ და ხელმოცარულთა მცდელობა, საზოგადოების თვალში აქტიური გამოჩნდნენ, ხავსზე წყალწაღებულის მოჭიდების ტოლფასია. ვიცით, რომ მიხეილმა 10 თვით გაიხანგრძლივა პრეზიდენტობა საკონსტიტუციო ცვლილებით, ბატონი ჩიტაძის წამოცდენაც, რომ წინა პრეზიდენტობისას ხომ დაიკლოო, ვერც ამით მართლდება ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, რადგან ჯერ ერთი, ბატონმა მ. სააკაშვილმა კი არ დაიკლო, სიტუაციამ აიძულა გადაედგა საკმაოდ გონივრული პოლიტიკური ნაბიჯი და საპარლამენტო არჩევნების მაგივრად საზოგადოებას შესთავაზა საპრეზიდენტო არჩევნები, რადგან ამ შემთხვევაში ყველა რეგიონში კი არ დასჭირდებოდა ხმების გაყალბება უნიათი, მაგრამ ერთგული პარლამენტარების გასაყვანად დიდი მაქინაციები, არამედ ყველგან ერთი მექანიზმით მოუწევდა სათავისოდ ემართა სიტუაცია. მაშინდელი საზოგადოებაც და პოლიტიკური სპექტრიც დიდი ამბით შეხვდა მიშას „დამამარცხებელ“ გადაწყვეტილებას, რომელმაც საზოლოო ჟამში ლამის 6 წლიანი პრეზიდენტობა მიაკუთვნა დღეს კინაღამ საზოგადოებრივ ანათემაზე გადაცემული სააკაშვილს.

დღესდღეობით, როცა პრეზიდენტი იმდენად უფუნქციოდ დარჩა, რომ მისი ქმედებები მხოლოდ აგრესიას ან ღიმილს იწვევს (სასაცილოა თუ აგრესიის საფუძველი გუნავას, ბარნოვისა თუ ოჩიაურის გაგუბერნატორება, ეს ცალკე საკითხია), აწყობს რამეში ასეთი პერსონის გამო საქართველოში არჩევნების ჩატარება ბ. ივანიშვილს? ერთი აჭარელი მაჟორიტარის გადაბარგება თუ არ გაჭირდა უმცირესობიდან უმრავლესობაში, არც ნაკლებად ცნობადი სახე-ნაციონალები იტყვიან უარს „ოცნებაზე“, მერე იმპიჩმენტიც ადვილი იქნება და საკონსტიტუციო ცვლილებებიც, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე (საქართველოს შიგნითაც) საინფორმაციო-ლობისტური ორგანიზაციები აფუთფუთდებოდნენ: აი, კონსტიტუცია შეიცვალა ერთი პირის საწინააღმდეგოდ ერთი ადამიანის ახირების გამოო. ამას ემატება ისიც, რომ „ოცნებაში“ კარგად არ არიან გარკვეული, ვის „მოუხდება“ პრეზიდენტის მანტია და ხომ არ იქნება ირიდას ვაშლი არა მარტო საპრეზიდენტო, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

ზიზღის ენაზე ლაპარაკსაც შევეჩვიეთ, სამწუხაროდ. სოციალურ ქსელებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმდენად აღგზნებულები ვართ, რომ კარგი ფსიქოსეანსი ნამდვილად არ გვაწყენდა უმრავლესობას, მაგრამ ასეთი სეანსისთვის ან ფული არ გვაქვს, ან კიდევ იმდენად სწორად მიგვაჩნია ჩვენი ქცევები, რომ უკვე ფსიქიატრიის სფეროსკენ უფრო ვიხრებით, ვიდრე–ფსიქოლოგიის.

ახია კაკო ბობოხიძისათვის კვერცხებისა და ცოცხების დამიზნებაო, არაერთმა თქვა. ზუგდიდში ეჩვენებინა რა ბიჭი იყოო, პეტრე მამარაძეს რომ უმართავდა პარლამენტში მუშტი-კრივსა და საქმეებს ურჩევდა ოპოზიციონერ პარლამენტარებსო, კიდევ სტუდიაში მიტანილ ამერიკული სიმინდის რჩეულ ტაროებსაც იხსენებდნენ. კაკო ბობოხიძე კი არა, რომელი მძლეთამძლე გაბედავდა ზუგდიდის აქციაზე ხელის შებრუნებას?! საკატლეტე ხორცივით დაბეგვავდნენ აქციის მონაწილეები!

ამბობენ, რომ განსხვავებული მენტალობა აქვთ მეგრელებსო. ჩემი აზრით, ეს ძალიან მცდარი აზრია. ისინიც ყველა დანარჩენი ქართველებივით ფიქრობენ, შრომობენ, აზროვნებენ, ეშინიათ ან არ ეშინიათ. არც მასპინძლობა ეშლებათ, არც მტერ-მოყვარის გარჩევა, უბრალოდ მეგრულ ენას კოზირად მოიტანენ ხოლმე არევ-დარევის მომხრენი, ან სულაც „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულ ენაზე თარგმნას მოიგონებენ და ათასგვარ უბედურებას დასწამებენ ძველისძველი კოლხების შთამომავლებს.



ერთხელ მეგობარმა, გვარად სორდიამ, ღიმილით მითხრა (ზვიადის პრეზიდენტობის დროს), საქართველოს ხელისუფლებაში და დიდ თანამდებობებზე სულ იქნება ის გვარი, რომელიც ია, უა და ვა-ზე იქნება დასრულებულიო. იქვე შევახსენე ჩემი გვარის წარმომავლობა, ხოჯი ხარს ნიშნავს-მეთქი. კონფლიქტამდე თუ რამის დაყვანა უნდათ, მაშინ დიდი ფიქრია საჭირო მის მოსაწყობად, როგორც ჩანს ჩვენი ზუგდიდელების თუ აბაშის მკვიდრების შეცდომაში შეყვანა შეუძლებელია! არადა რამდენი ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

არ მგონია, რომ კაკო ბობოხიძეს (კაკო ამ შემთხვევაში თუნდაც აკაკი მინაშვილით ჩაანაცვლეთ) გურიასა და იმერეთში თაიგულებით დახვდნენ, თუ არაფერს ესვრიან რეალურად, გულში მაინც გაივლებენ ისეთს, რომელიც კვერცხის სროლაზე უარესი შეიძლება იყოს. ხალხში აგრესიის დაგროვება არც ისე ადვილია, მას ნელნელა თუ ულუფებად აწვეთებდნენ ჩინოვნიკები მასებს. მახსენდება ფოთელი პატიმრის, რამაზ კონჯარიას საქმე, რომელიც მხოლოდ იმან გადაარჩინა სიკვდილს, რომ ხელისუფლება შეიცვალა და სამოქალაქო საავადმყოფოში მოახერხეს მისი გადაყვანა. კონჯარიას გამწარებული მშობელი კვერცხს კი არა, ქვას რომ არ ისვრის, გასაოცარია მართლაც.

კუბოს გამოტანა და პრეზიდენტის დასაფლავების იმიტაცია ცოცხების ფონზე შედარებით „მიღებული“ საპროტესტო ფორმაა. ზუგდიდში როცა „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც და გრანდიოზული აქცია მოაწყო, რატომღაც უფრო ზუგდიდის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით ვამჯობინე სიტუაციაზე თვალყურის დევნება. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის ეზოს წინ, რკინის უზარმაზარ ჭიშკართან ორი ნამცეცა ქალი პროტესტის ნიშნად თითებს აზზეკდა, ხედავდნენ თუ არა „ახალაიას კანტორიდან“ ვინმე მათ საქციელს, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემმა ფოტოებიექტივმა კარგად „დაინახა“.

აქციიდან წამოსული ხალხი მხიარული და კმაყოფილი სახით უშიშრად მოაბიჯებდა ქუჩაში და დაურიდებლად იძლეოდნენ უფრო მეტად ქალები ინტერვიუს. რამდენად პოლიტიკურ-ლირიკულია კუბოს გამოტანა ყურადღების ცენტრში მოსაქცევად, არ ვიცი, მაგრამ გასული საუკუნის დასაწყისში ასეთ რამეს ქუთათური პოეტები მართლა აკეთებდნენ. საფიჩხიიდან დაძრული კუბოს მიმდევარი „ჭირისუფლები“ ქუთაისის ცენტრში პოეტებად მოევლინებოდნენ ავიშვიშებულ ხალხს და იწყებოდა პერფორმანსი. მართალია, ბევრი მსმენელი სწრაფად ტოვებდა ტრაგი-ლირიკულ გარემოს, მაგრამ ბევრიც პოეზიის ისეთ მარგალიტებს ისმენდნენ, საშვილიშვილოდ სატრაბახოდ რომ გაიხადეს შემდეგში.

ზუგდიდელმა პროტესტანტებმა საერთაშორისო თუ ლოკალური გამოცდილება გამოიყენეს და ერთი სასეირო სანახაობა კი აჩვენეს ქართველებს!

ზევით ქუთაისი ვახსენეთ და საპარლამენტო ქალაქის 17 იანვრის მოვლენები ერთობ წააგავდა ტრაგედიას უგმიროდ. „ხელი უშვი ქოჩორს“ ქალების ჩხუბში ჩვეულებრივი მოვლენაა, მახსენდება ჩემი სტუდენტობისდროინდელი ამბავი. ქუთაისელი ქალები ერთმანეთს პურის რიგში დაერივნენ და ორი ფერის თმა (წითელი და ვერცხლისფერი) რიონის ხეობას ჩამოყოლილმა ქარმა ცხრასართულიანი კორპუსების იქით სწრაფად გადამალა, თუმცა მაინც დავლანდეთ თვალი ჰაერში მოფარფატე დალალები.

პარლამენტის გადატანასთან საზოგადოებრივი აზრის მოსმენას ქუთაისში დიდი ჩოჩქოლი მოჰყვა. „ნაციონალების“ მომხრეები დიდი ამბით პარლამენტს ქუთაისის მეორე სუნთქვის გახსნად წარმოგვიჩენდა, ცალკე „ოცნების“ ხალხი დარდობდა, ძვირი ჯდება ქუთაისში პარლამენტიო. მერე ვიღაცამ ვიღაცას უჯიკა, ჩანთა ჩაათხლიშა თავში თუ ბუწუკებიააცალა თავზე, ვილა იყო გამკითხავი?! ნამდვილად არ მგონია, რომ თუნდაც პარლამენტის გადატანა-არგადატანის საკითხი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თუ გამორკვევის შედეგად ახალი ქართული ბატალიების ინსპირირება.

საზოგადოებას ან პარლამენტის გადმოტანა ჰკითხეს ხალხს, ახლა გადატანისას რომ კითხულობნენ?!

თუ მართლა წაადგება ქუთაისს პარლამენტის იქ არსებობა, ამის დამტკიცება ცივილიზებული ფორმით შეიძლება. თუ ზედმიწევნით არარაობაა საკანონმდებლო ორგანოს ახლანდელ ადგილას დატოვება, მაშინ ეს გააგებინონ ხალხს და დააბრუნონ რუსთაველზე!

აგრესიის ახალი კერების გაჩენა აღარ გვჭირდება. დაგვასვენონ!

## დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლას გეგმავს



დიდი ბრიტანეთის პრემიერი ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლას არ გამორიცხავს. ამის შესახებ საუბარია იმ პროგრამული გამოსვლის ტექსტში, რომელიც დევიდ ქემერონს ამსტერდამში უნდა წარმოეთქვა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ვიზიტი ალჟირში განვითარებული მოვლენების გამო გადადო, თუმცა გამოსვლის ტექსტი მისმა პრესსამსახურმა გამოაქვეყნა.

მასალაში აღნიშნულია, რომ გამორიცხული არ არის, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვოს, თუკი ბრიუსელი სამეფოს კავშირში წევრობის პირობების შეცვლას არ დათანხმდება.

ქემერონი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მთავარი პრობლემა ეკონომიკური კრიზისი, არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა და ფედერალური ევროპის იდეის არასაკმარისი მხარდაჭერაა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემების იგნორირება ბრიტანელებს კავშირიდან გამოსვლისკენ უბიძგებს.

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 27 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა – 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-სა და იაპონიას.

გ. მ.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 21 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 06.30 დ/ფ „სუფრაჟისტები“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 „სპიკერი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ (U) 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“(U) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარი“ 01.00 მხ/ფ „შემოჭრა“ (ნ. კიდმანი) (15) 02.40 ტ/სერ „სპირალი“ (U)

**მეორე არხი** 08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „სტამბული“ 09.00 მხ/ფ „პატარა პრინცესა“ 10.35 მხ/ფ „განრისხებული ფანტომასი“ (ლუი დე ფიუნესი) 12.10 მხ/ფ „თქვენთვის წერილია“ (მ.რაიანი) 14.00 „ფერების სამყარო“ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მარი კიური“ 19.00 ტ/სერ „ოჯახური გამოძიება“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**იმედი** 07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 3“ 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 6 სერ. 00.15 მხ/ფ. „ვან ჰელსინგი“ (ჰ. ჯეკმენი) 02.35 მხ/ფ. „სიბრმავე“ (ჯ. მური) 04.35 მუსიკა

**რუსთავი2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.55 მხ/ფ „დაგვიანებული სასიძო“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „მზე შემოდგომისა“ 13.30 კონცერტი-ტონი ზენეტი 14.50, 18.20, 22.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ 17.05 კონცერტი - „აპირებს გათენებას“ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 მხ/ფ „აქედანა და შენამდე“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 წმინდანთა ცხოვრება-აბო თბილელი 22.40 დოკ/ფ „წმინდა მოწამენი ქართლისანი“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## სამშაბათი 22 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 „საფარი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ (U) 20.00 „მოამბე“ 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“ (U) 22.00 „აქცენტები“ 23.30 მხ/ფ „იღბლიანი“ (ე. ბრანა“დ. ბერიმორი) (U) 01.50 მხ/ფ „სულელების ოქრო“ (ტიტ.) (მ.მაკკონახი) (U)

**მეორე არხი** 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „ფერების სამყარო“ (დასკვნითი) ნაწილი 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ I ნაწილი 19.00 ტ/სერ „ოჯახური გამოძიება“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**იმედი** 07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 1 სერ. 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.15 ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) 02.15 მხ/ფ. „ცეცხლოვანი ველი“ (შ.ტერონი) 04.00 მხ/ფ. „ვან ჰელსინგი“ (კ.ბეკინსეილი) 05.55 მუსიკა

**რუსთავი2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 21.50 ეროვნული ლატარეა

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 წმინდანთა ცხოვრება-აბო თბილელი 10.55 სღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „აქედანა და შენამდე“ 13.35 კონცერტი-მანანა დოიჯაშვილი 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მხ/ფ „ლესი“ 17.35 აქტუალური თემა 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 შარავანდედი (გად. 4) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „ლალიის ღვთისმშობელი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ოთხშაბათი 23 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 „გურმანია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი“ (U) 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“ (U) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „სიბემოლი“ 23.40 მხ/ფ „პოსეიდონი“ (კ.რასელი) (12) 01.40 მხ/ფ „დაძაბვა გონება“ (ტიტ.) (ე.ჰეტეუეი) (U)

**მეორე არხი** 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ I ნაწილი 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ მე-2 ნაწილი 19.00 ტ/სერ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**იმედი** 07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 2 სერ. 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.15 მხ/ფ. „ფინალური თამაში“ (ჯ.ვუდსი) 01.55 მხ/ფ. „ნედ კელი“ (ნ. უოტსი) (ტიტ.) 04.25 მუსიკა

**რუსთავი2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ლესი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად. 4 11.00 დოკ/ფ „ლალიის ღვთისმშობელი“ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-რუსუდან სებისკვერაძე 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დოკ/ფ „ლადო ასათიანი“ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „გაზაფხული გადის“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა“ ირაკლი აბაშიძე 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხსოვნა“ I ნაწილი 02.05 ირაო

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ხუთშაბათი 24 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 „ჩვენი ფერმა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი“ (U) 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“ (U) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 თოქ-შოუ: „არენა“ 00.00 მხ/ფ „ჩრდილოეთის ქვეყანა“ (შ.ტერონი ) (15) 02.30 ტ/სერ „შინაგანი უსაფრთხოება“

**მეორე არხი** 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ მე-2 ნაწილი 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ მე-3 ნაწილი 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 1 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**იმედი** 07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 3 სერ. 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.15 მხ/ფ. „განდგომილები“ (ჯ.ნიკოლსონი) 02.45 მხ/ფ. „ფინალური თამაში“ (კ.გუდინგ უმცროსი) 04.20 მუსიკა

**რუსთავი2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.55 მხ/ფ „ხსოვნა“ I ნაწილი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა“ ირაკლი აბაშიძე 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „გაზაფხული გადის“ 13.20 კონცერტი-ქალაქური მელოდიები 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 16.00 მხ/ფ „განძი“ 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ვინ არის მეოთხე“ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხსოვნა“ II

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## პარასკევი 25 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 დ/ფ „ხელოვნების ინსტიტუტში გატარებული ერთი დღე“ „დაძუს გამოქვაბულის ბარელიეფი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი“ (U) 21.00 კონცერტი: „ქართული ხმები“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 ქართ. მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი“ (დრამა. რეჟ: ე. შენგელაია) (U) 02.20 ტ/სერ „შინაგანი უსაფრთხოება“

**მეორე არხი** 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ მე-6 ნაწილი 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 2 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**იმედი** 07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.15 მხ/ფ. „დაბრუნება“ (პ.კრუსი) 02.20 მხ/ფ. „განდგომილები“ (ჯ.ნიკოლსონი) 04.45 მუსიკა

**რუსთავი2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.30 გათამაშება „ისი პარი“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 21.50 ეროვნული ლატარეა

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „ხსოვნა“ II 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ვინ არის მეოთხე“ 13.35 კონცერტი-რ. გალიანო 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დოკ/ფ „დავით გარეჯი“ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ქართველების თვალით დანახული დაღესტანი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.30 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 პატრიარქის საიუბილეო საღამო 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 0.30 თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## შაბათი 26 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ 08.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 ან/ფ „განძთა კუნძული“ (U) 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები“ 11.15 „ვაკა-პედია“ 11.30 საბ. ტ/სერ „მე და ჩემი მონსტრები“ (U) 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 13.00 „ჩემი ოჯახი“ 14.30 მხ/ფ „მეხისმტყორცნელი და ვინეტუ“ (სათავგადასავლო. (U) 16.30 დ/ფ „ალექსანდრეს უდიდესი ბრძოლა“ 17.30 „აღმოაჩინე საქართველო“ 18.00 „ეტალონი“ 19.00 „გურმანია“ 21.00 კონცერტი: „ერისიონი“ 23.00 „ახალი ქართული კინო“ 23.30 დოკ/ფ „თეთრი არა - შავი“ (რეჟ: მინდია ესაძე) 00.30 მხ/ფ „300“ (სათავგადასავლო.) (15) 02.50 ტ/სერ „შინაგანი უსაფრთხოება“

**მეორე არხი** 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო“ 17.00 მხ/ფ „ენდე საკუთარ თავს“ (ა.ბანდერასი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ — უოლის სიმფსონი“ ედუარდ VIII მეუღლე 20.00 მხ/ფ „სიყვარულის სურნელი“ (მ.რაიანი) 22.00 ტ/სერ „დომბე და ვაჟი“ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „გაფრენილი კოცნა“ (ტიტ.) (ვ.კილმერი) (12)

**იმედი** 08.00 ან/ფ „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები“ 09.00 მხ/ფ. „დიდი ბავშვი“ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ „ავატარი“ 12.00 სერ. „ტრიფიდების დღე“ 3 სერ. 13.00 სერ. „აიძარლი“ 14.20 მხ/ფ. „რა იქნებოდა“ 16.00 სერ. „გმირები – 4“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 რომ გადახვალ“გააჩერე (გ/ჩ) 23.25 მხ/ფ. „ადრენალინი“ (ჯ.სტეტჰემი) 01.05 მხ/ფ. „დაბრუნება“ (პ.კრუსი) 03.05 მუსიკა

**რუსთავი2** 08.00 კურიერი დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი“ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 18.30 ?bwbkbc ზონა 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (ს.2) 00.30 „Latin Angels“ 01.00, 03.30 მხ/ფ

**ერთსულოვნება** 06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე“ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი“ (კოლაჟი) 10.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 დოკ/ფ „ქართველების თვალით დანახული დაღესტანი“ 13.20 მოკ/ფ „ბავშვები“ 13.50 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-“სტეფალიო“ 17.20 პატრიარქის საიუბილეო საღამო 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.20 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი“ 22.25 დოკ/ფ „ნინო რამიშვილი“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ქართული კინოს ვარსკვლავები 01.15 მხ/ფ „ნისლების სანაპირო“

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია „მონიტორის“ ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი“ 23.00, 3.30 „ჩვენ“ - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 1.00 ახალი ამბების კოლაჟი

## კვირა 27 იანვარი

**საზოგ. მაუწყებ.** 08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ 08.30 საბ/ფ „კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება“ (U) 10.00 „ეტალონი“ 11.00 „ჩვენი ექსპრესი“ 11.30 საბ. ტ/სერ „მე და ჩემი მონსტრები“ (U) 12.00, 14.00, 16.00 „მოამბე“ 12.30 „ჩვენი ფერმა“ 13.00 სატ თეატრის სპექტაკლი: „გზაჯვარედინზე“ 16.30 „ჩვენი ეზო“ 17.30 „ვაშინგტონი დღეს“ 18.00 კალათბურთი. საქართველოს თასის ფინალი (პ/რ) 20.00 ანსამბლი „თბილისი“ 21.00 „საჯარო პოლიტიკა“ 22.00 „სპიკერი“ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო“ 23.30 „უცნობი მუსიკა“ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე“ (ბ.პიტი, კ.ბლანშეტი) (12)

**მეორე არხი** 08.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ — უოლის სიმფსონი“ ედუარდ VIII მეუღლე 09.00 „ბრიფინგის დრო“ 10.00 მხ/ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ 11.30 მხ/ფ „ბნელი რაინდი“ 14.00 მხ/ფ „სახლი ტბის პირას“ (კ.რივზი, ს.ბალოკი) 15.35 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ“ 17.10 მხ/ფ „სულელების ოქრო“ (კ.ჰადსონი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ — ჰედი ლამარი — მსახიობი“ გამომგონებელი 20.00 მხ/ფ „გოგონა წყლიდან“ (ფანტასტიკა) 22.00 ტ/სერ „დომბე და ვაჟი“ 23.00 მხ/ფ „კუნძული“ (ტიტ.) (ე. ჰოპკინსი) (12)

**იმედი** 08.30 ან/ფ „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები“ 09.30 ან/ფ „მეფე არტურის თავგადასავალი“ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 13.00 მხიარული სტარტები 14.20 ფორტ ბოიარი 15.00 ქ.მხ/ფ. „ბელურების გადაფრენა“ 16.00 სერ. „გმირები– 4“ 5 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: ალექსანდრე ბასილაია 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 რომ გადახვალ“გააჩერე (გ/ჩ) 23.25 მხ/ფ. „კონტროლი“ (უ.დეფო) 01.15 მხ/ფ. „ადრენალინი“ (ჯ.სტეტჰემი) 02.45 მუსიკა

**რუსთავი2** 08.00 კურიერი დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი“ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 03.30 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (გ/ჩ) 18.30 სიცილის ზონა 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00, 03.30 მხ/ფ

**ერთსულოვნება** 06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი“ (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.10 გუთნისდედა 13.40 „ჩვენი ტრაპეზი“ 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 ჟურნალისტის დღიური 14.35 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გზა, რომლითაც ვიარე 16.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 17.00 დრო და ტრადიციები 17.25 სღვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 „კვირიაკე“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 დოკ/ფ „წმინდა მოციქულთა სწორი ნინო“ 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.30 კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი 01.35 მხ/ფ „რომაული არდადეგები“

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 10.00 ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) 10.55 „პრეს-პრესი“ (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ“ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია „რე“ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 23.00, 0.00, 1.00 ახალი ამბების კოლაჟი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# სირიას დღეში სამი ათასი ადამიანი ტოვებს

გაერო სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის დრამატულ ესკალაციაზე საუბრობს. ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყანას ყოველდღე 3 ათასამდე ადამიანი ტოვებს, მათგან ნახევარი ბავშვია.

ამჟამად გაეროს თანამშრომლების მიერ რეგისტრირებულია 650 ათასი დევნილი. ორგანიზაციის პროგნოზებით, ნახევარ წელიწადში ეს ციფრი გაორმაგდება. გაერო აცხადებს, რომ დევნილების რაოდენობა იმაზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დევნილების დასახმარებლად ფინანსური სახსრების მოძიება ხდება შესაძლებელი. ამ ფონზე ირანმა სირიას მილიარდი დოლარის კრედიტი მისცა. ამის შესახებ შეთანხმებას თეირანში სირიის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს მოეწერა ხელი. უკვე ცნობილია, რომ თანხის ნახევარი სირიის ენერგეტიკის განვითარებას მოხმარდება. ირანი დააფინანსებს ასევე სირიული ელექტროსადგურების მშენებლობას. შეთანხმებაში მონაწილეობა მიიღეს ირანის განვითარების საექსპორტო ბანკმა და სირიის კომერციულმა ბანკმა. ამის შესახებ ინფორმაციას „ფაინეშლ თაიმსი" ავრცელებს. სირიის ეკონომიკა, ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტის გამო, ბოლო წელს მნიშვნელოვნად დაზარალდა. სამოქალაქო ომის შედეგად, ექსპერტების შეფასებით, გასულ წელს ფასები კი ათი პროცენტით გაიზარდა. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, დამასკოს ეკონომიკური რესურსები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. **გ. მ.**

# ბარაქ ობამას ინაუგურაცია 21 იანვარს გაიმართება

*დასაწყისი მე-12 გვერდზე*

დან. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად, ის მეხუთე აფროამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა და ერთადერთი აფრიკელი ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში.

2007 წლის თებერვალში საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებიდან ობამა აქცენტს აკეთებს ერაყში ომის დასრულებაზე, ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდასა და საყოველთაო ჯანდაცვაზე, როგორც უმთავრეს პრიორიტეტებზე.

ობამა ჰონოლულუში დაიბადა კენიელი მამისა და ამერიკელი დედის ოჯახში. ადრეული ცხოვრების დიდი ნაწილი აშშ-ის შტატ ჰავაიზე გაატარა. ექვსიდან ათ წლამდე – ჯაკარტაში, ინდონეზიაში, ცხოვრობდა დედასთან და ინდონეზიელ მამინაცვალთან ერთად. კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის იურიდიული სკოლის კურსდამთავრებული ობამა მუშაობდა საზოგადოებრივ ორგანიზატორად, უნივერსიტეტის ლექტორად და სამოქალაქო უფლებების ადვოკატად, სანამ ილინოისის სენატში არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას, სადაც 1997-2004 წლებში მსახურობდა. 2000 წელს, წარმომადგენელთა პალატაში ადგილის მოსაპოვებლად წარუმატებელი კამპანიის შემდეგ, ის 2003 წელს აშშ-ის სენატის ადგილისთვის კამპანიას იწყებს.

მომდევნო წელს, ჯერ კიდევ ილინოისის შტატის კანონმდებელი, ობამა სიტყვით გამოდის ივლისის დემოკრატიულ ეროვნულ კონვენციაზე. 2004 წლის ნოემბერში ხმების 70%-ით არჩეულ იქნა აშშ-ის სენატში. 1992 წელს დაოჯახდა და ორი ქალიშვილი ჰყავს. დაწერილი აქვს ორი წიგნი-ბესტსელერი: მისი ახალგაზრდობის მემუარი „ოცნებები მამაჩემისგან" და „იმედის გამბედაობა", პირადი კომენტარი აშშ-ის პოლიტიკაზე. **გ. მ.**

# აშშ-მ სომალის ახალი მთავრობა აღიარა

20-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ აშშ-მ სომალის მთავრობა ოფიციალურად აღიარა.

როგორც ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში, სომალის პრეზიდენტთან ჰასან შეიხ მოჰამუდთან შეხვედრისას განაცხადა, დღეიდან აშშ-სა და სომალის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო.

„ეს არის ღია, გამჭვირვალე დიალოგი იმაზე, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია სომალელი ხალხისთვის, რათა მათ შეძლონ ოცნებების რეალიზება", – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

„სი-ენ-ენ"-ის ცნობით, კლინტონმა ხაზი გაუსვა ქვეყნის წინსვლას



ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოჰამუდი სომალის სათავეში 2012 წელს, დიქტატორ მოჰამედ სიად ბარის რეჟიმის დამხობის შემდეგ ჩაუდგა. 2012 წლამდე სომალიში სამოქალაქო დაპირისპირება იყო. ქვეყანაზე კონტროლის დაწესებას ერთბაშად რამდენიმე ისლამისტური დაჯგუფება ცდილობდა, მათ შორის – ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ალ-შაბაბი.

1991 წლიდან 2000 წლამდე ქვეყანაში არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა. ხშირად ხდებოდა მთავრობების ცვლა. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში შექმნილია ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჩრდილოეთით არსებული სომალილენდი. **გ. მ.**

# სისხლისღვრა ალჟირში

## (ტერორისტებისაგან მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაციას მსხვერპლი მოჰყვა)

– ალჟირის არმიამ მძევლების გათავისუფლების მიზნით სპეცოპერაცია დაიწყო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება", – ცალკეული მონაცემებით, არის მსხვერპლი.

როგორც ცნობილია, ალ-ქაიდას ბოევიკებმა ალჟირის ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ გაზმომპოვებელ ობიექტზე თავდასხმა განახორციელეს. ობიექტი ბრიტანულ ფირმას ეკუთვნოდა. ბოევიკებმა იქ მყოფი სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები მძევლებად აიყვანეს.



– ტერორისტებმა ტყვედ ჩაიგდეს როგორც ალჟირის, ასევე დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიისა და იაპონიის მოქალაქეები, – იტყობინება ბი-ბი-სი.

აღნიშნული აქცია ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამერიკელთა მიერ წარმატებით ჩატარებული რიგი ოპერაციების შედეგად ალ-ქაიდას უზარმაზარი ზიანი მიადგა. ფიზიკურად იქნა ლიკვიდირებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი უსამა ბინ-ლადენი. ამის მსგავსი იყო ორგანიზაციის სხვა აქტივისტთა ხვედრიც. თავად ალ-ქაიდას შიგნით კი უთანხმოება გამწვავდა. რამდენიმე დაჯგუფება ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ბევრმა ექსპერტმა ჩათვალა, რომ ალ-ქაიდა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მართლაც, ამ ტერორისტული ორგანიზაციის დეგრადაციის პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა, თუმცა შემოდგომის ბუზი მწარედ იკბინება. ალ-ქაიდას შემთხვევაშიც ასე მოხდა.

– მძევლების აყვანის ოპერაციას ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერი მუხტარ ბელმუხტარი ხელმძღვანელობდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

მუხტარ ბელმუხტარი „ისლამური მაღრიბის ქვეყნებში" ალ-ქაიდას ხელმძღვანელი იყო. სახელი მან სწორედ მძევლების აყვანით გაითქვა. უკანასკნელ ხანს ბელმუხტარისა და ალ-ქაიდას დანარჩენ ლიდერებს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ბელმუხტარმაც, ფაქტობრივად, საკუთარი დაჯგუფება შექმნა, რომელსაც მხოლოდ თვითონ აკონტროლებდა. „ალჟირის ოპერაციის" ჩატარების გადაწყვეტილებაც თავად მიიღო. მართალია, მისი დაჯგუფება იარაღისა და ფულის ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ფულიც გაჩნდა და იარაღიც.

– ზოგი თვლის, რომ ბელმუხტარის ბოევიკების ხელში კადაფის არსენალის ნაწილი აღმოჩნდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ისმის კითხვა, ამ არსენალის ხელში ჩაგდება ტერორისტებმა თავად მოახერხეს თუ ვინმე დაეხმარათ? ამ კითხვას ჯერჯერობით პასუხი არ გასცემია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ თავდასხმისას ბოევიკები საოცრად დაუნდობლად იქცეოდნენ. მათი ნაწილი დაეცა ავტობუსს, რომელსაც კომპანიის მუშები გადაჰყავდა. ამ დროს ორი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ტერორისტთა მეორე ნაწილმა მუშების საცხოვრებელი კომპლექსი დაიკავა.

ამრიგად, მათ ხელში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მძევალი (ზუსტი ციფრი ჯერჯერობით უცნობია). ტერორისტები არ მალავდნენ, რომ ყველაფერზე წავიდოდნენ. მძევლად აყვანილი მოქალაქეები, რომლებმაც პროტესტი გამოთქვეს, დახვრიტეს, ერთ-ერთ ალჟირელ მუშას კი მარჯვენა ხელი მოაჭრეს.

– მათ ჯერ მკითხეს, სადაური ვიყავი, აქ როგორ მოვხვდი, შემდეგ ყველას თვალწინ ხელი მომაჭრეს, მედპუნქტშიც მათ მიმიყვანეს, – განუცხადა მუშამ ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტს.

ტერორისტებმა წამოაყენეს მოთხოვნა: დაუყოვნებლივ შეწყდეს საფრანგეთის სამხედრო ოპერაცია მალიში.

როგორც ცნობილია, აფრიკის ამ ქვეყანაში (სადაც ოქროს დიდძალი მარაგებია) უკანასკნელ ხანს ისლამისტი ბოევიკები გააქტიურდნენ. წარმოიქმნა საფრთხე, რომ ექსტრემისტები ხელისუფლებაში ძალისმიერი გზით მოვლენ. მალის მთავრობამ დახმარებისათვის საფრანგეთს მიმართა. საფრანგეთმაც თხოვნა უმალ დააკმაყოფილა. ალჟირის ხელისუფლებამ ფრანგებს მხარი დაუჭირა, რამაც ექსტრემისტების რისხვა გამოიწვია.

– ალჟირის ხელისუფლებამ ისლამს უღალატა და ამისათვის მკაცრად დაისჯება, – ნათქვამია ბელმუხტარის განცხადებაში, – მან ფრანგებს საჰაერო სივრცე გაუხსნა. ამას გარდა, ალჟირის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აგდებულად მოიხსენია როგორც ისლამისათვის მებრძოლნი, ისე შაჰიდებიც, – ამბობს ბელმუხტარი.

ალჟირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქაბლიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალჟირი ტერორისტებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს, პირიქით, ულტიმატუმს აქეთ უყენებს, თუკი ორი საათის განმავლობაში მძევლებს არ გაათავისუფლებენ, რაც დაემართებათ, თავის თავს დააბრალონო. ქაბლიას მუქარა ლიტონი სიტყვები არ აღმოჩნდა. მართლაც, ალჟირის არმიამ ტერორისტების წინააღმდეგ იერიში დაიწყო.

– შედეგად ნამდვილი ბრძოლები დაიწყო, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ალჟირის ხელისუფლებამ მომხდართან დაკავშირებით ფრიად მწირი კომენტარები გააკეთა. იმის გამო, რომ საზღვრები ოპერატიულად გადაიკეტა, ინფორმაცია მცირეა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ორივე მხრიდან არის მსხვერპლი. ცალკეული ცნობით, 600-მდე მძევლის გათავისუფლება მოხერხდა. რაც შეეხება დაღუპულებს, აქ ჯერჯერობით ურთიერთსაწინააღმდეგო ციფრები ვრცელდება. ზოგი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ დაღუპულია 40-მდე მძევალი, ზოგიც თვლის, რომ ციფრი 60-ს აჭარბებს. თავად ალჟირის ხელისუფლება ამას უარყოფს. უახლოეს დღეებში, ალბათ, უფრო ზუსტი მონაცემები გამოქვეყნდება. დღესდღეობით კი შეიძლება მხოლოდ შემდეგის თქმა: სპეცოპერაცია დასრულდა, მძევლები გათავისუფლებულნი არიან, თუმცა ამას მსხვერპლი მოჰყვა.

ალ-ქაიდას წევრების მორიგი ექსტრემისტული გამოხდომა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ დაგმო. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიის ლიდერებმა ამის თაობაზე სპეციალური განცხადებები გააკეთეს. რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი აფრიკაში ფართომასშტაბიან „რეგიონულ ომზე" ალაპარაკდნენ. რუსი ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთი უძლურია, მარტომ აკონტროლოს „მესამე სამყაროში" მიმდინარე პროცესები და, თუკი რუსეთმა „დერჟავის" სტატუსი არ დაიბრუნა, მსოფლიოში სავალალო ვითარება შეიქმნება.

– მოსკოვი კვლავ თავისი იმპერიული ილუზიების ტყვეობაშია, – თვლის უკრაინელი პოლიტოლოგი ოლეს დონიი.

სპეცოპერაცია ალჟირში დასრულდა.

**ნიკა თევზაძე**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ლუარა გიგიბერია, შვილები მაია, პაატა შელიები, და ინეზა, ძმა ბაჩიკო, შალვა, თამაზ შელიები, რძლები ნანა ღლონტი, დეა გვასალია, ფაცია, მარინა, სიძეები დავით ხარაბაძე, ალიკა ვარდანია, შვილიშვილები გიორგი შელია, თამარ, ნინო, გელა, ნიკოლოზ ხარაბაძეები, ცოლისძმა გურამ გიგიბერია ოჯახით, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (ჟორა) ამირანის ძე შელია**

პანაშვიდი: 20, 21 იანვარს.

დაკრძალვა: 22 იანვარს, 14 საათზე (საბურთალოს სასაფლაოზე).

მისამართი: შევარდენიძის (ყოფ. საბურთალოს) ქ.№11.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თეორიული მექანიკის მიმართულების ღვაწლმოსილი პროფესორი

**გიორგი (ჟორა) შელია**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

ბორის და ომარ კაკუბავები სამძიმარს უცხადებენ მამუკა და ნანა კაკუბავებს დედის

**ლამზირა (ია) გითოლენდია-კაკუბავას**

გარდაცვალების გამო.

---

ახლო მეგობრები – მურმან ხვედელიძე, დავით ჭკადუა, ბაგრატ ჭანკოტაძე, მერაბ გოცირიძე, ფრიდონ სვანიძე, კობა კობახიძე, თემურ გუნცაძე და გელა ლეჟავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ტარიელ (სინოვიჩი) კაპანაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

გელა ყიფიანი ოჯახით თანაუგრძნობს მეგობარს, მალხაზ წიქარიშვილს დედის

**ქეთევან გორგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შებოლილი ძეხვი; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. ფოტოაპარატების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 5. ლიტერატურის თეორია; 6. გადასახდელსახურავიანი მსუბუქი ეტლი; 11. ჟოკეის წკეპლა; 13. თვითმფრინავის, გემის დაქირავება გარკვეული პირობითა და ვადით; 14. ვაზის მავნებელი მწერი; 15. ჩინეთის ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა; 17. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 18. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 19. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში.

**თარაზულად:** 7. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 8. გვარის ისტორია, საგვარეულო ნუსხა; 9. სუნთქვის ორგანო; 10. ბანკში გახსნილი ანგარიში; 12. სანადირო თოფების, ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ფრანგი მწერალი, რომან „ანგელოზების ამბოხების" ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. მონათა აჯანყების მეთაური ძველ რომში; 18. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი თვითნაბადი ალმასი; 20. ძველებური სანათი მოწყობილობა; 21. შლამიანი დანალექი მდინარის, ტბის ფსკერზე; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 23. ლატვიის დედაქალაქი; 24. მაღალი ტემპერატურის საზომი ხელსაწყო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ზეკარი; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. მილანი; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. კაისა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად**: 1. ზაფხული; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მოლი; 19. აჯამეთი; 20. ბენეფისი; 21. ნატახტარი; 22. ტიბეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბარამბო; 2. ბრიჯი; 3. მეტაფორა; 4. სედანი; 5. კატრანი; 6. რეფორმა; 11. კიური; 13. ტრაპეზი; 14. პომოლოგია; 15. მაკედონია; 17. ლეგატი; 18. კრუპიე; 19. ლელა.

**თარაზულად**: 7. ჩაქურა; 8. ფენერბახჩე; 9. დარაჯი; 10. ტალავერი; 12. ვოლტიჟიორი; 14. პრიზმა; 16. კლაისერი; 18. კომუნიკე; 20. მუმლი; 21. ოდა; 22. ზარზუელა; 23. ჯინი; 24. სამტრედია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 იანვარი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6582

ევრო —2,1994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0548

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —5-9, ღამით — -5 -2.

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-12, ღამით — 5-6.

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 3-5, ღამით — -5 -7.

**ამინდის პროგნოზი 19 იანვრისთვის**





# „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები


## ასტროპროგნოზი

**19 იანვარი წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი წარმატებისთვის მოემზადეთ, ის მალე გეწვევათ. **კურო** — თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, ყველაფერი კარგად იქნება. **ტყუპები** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **ლომი** — თქვენს ცხოვრებაში აღმასვლა შეინიშნება. **ქალწული** — კითხვები გაქვთ, მაგრამ პასუხებს იპოვით. **სასწორი** — კარგ ამბებს გაიგებთ, მეტი რა გინდათ? **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, გიხარიათ. **მშვილდოსანი** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, თანაც წარმატებულად. **თხის რქა** — იაქტიურეთ, დღეს ასე აჯობებს. **მერწყული** — თავს მშვენივრად გრძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **თევზები** — დაუჯერეთ მეგობრებს, არ წააგებთ.

**20 იანვარი – თქვენი საქმე აკეთეთ**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — თქვენი საქმე კარგად მიდის, მეგობრები გეხმარებიან. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — ახალ შენაძენს მოგილოცავენ. **ლომი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გიხარიათ. **ქალწული** — ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს. **სასწორი** — პროექტი კარგია, მაგრამ უკეთესს შემოგთავაზებენ. **ღრიანკალი** — გზიდან ნუ გადაუხვევთ, თქვენი საქმე განაგრძეთ. **მშვილდოსანი** — საკუთარ თავს მეტი დრო დაუთმეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, თქვენც იზრუნეთ მასზე. **მერწყული** — ნაწყენი ხართ, მაგრამ მალე გაგივლით. **თევზები** — რომანტიკული თავსგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# გამოვემშვიდობოთ ლეგენდას?

მოგეხსენებათ, „ჩელსის“ ლეგენდარულ ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდს კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება, ლონდონელთა ბოსობა კი მის გაგრძელებას აღარ გეგმავს.

**ფელაინი ლამპარდის ნაცვლად?**

გავლენიანი ფრანგული გამოცემა „ეკიპი“ წერს, რომ „ევერტონის“ შესანიშნავად მოთამაშე თავდამსხმელი მარუან ფელაინი „ჩელსიში“ მივა ფრენკ ლამპარდის შემცვლელად.

რაც შეეხება სატრანსფერო ფასს, იგი 22 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს და, წესით, ეს დევიდ მოიესისთვის საკმარისი თანხა უნდა იყოს. თანაც, ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ თავად ბელგიელ წინახაზელს ჩემპიონთა ლიგაზე სურს თამაში — ამ სურვილს კი „ჩელსი“ ნამდვილად აუსრულებს.

**და თქვენ საიდან ხართ?**



პრესას ფრენკ ლამპარდი „ჩელსის“ ადრეც არაერთხელ დაუშორებია, ყველაზე ხმაურიანი „დაშორება“ კი ანდრე ვილაშ-ბოაშის დროს იყო, როდესაც პორტუგალიელი ლეგენდარულ ფეხბურთელს არ ათამაშებდა.

როგორც ჩანს, ამ ზამთარს ყველაფე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ბარაქ ობამას ინაუგურაცია 21 იანვარს გაიმართება

ვაშინგტონში 21 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩეული ბარაქ ობამას ინაუგურაცია გაიმართება. აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, ინაუგურაცია 20 იანვარს უნდა გაიმართოს, მაგრამ წელს 20 იანვარი კვირაა და ფიცის დადების სახალხო ცერემონია 21 იანვარს შედგება. თუმცა, 20 იანვრის 12:00 საათიდან ბარაკ ჰუსეინ ობამა ოფიციალურად შეუდგება მეორე ვადით პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებას.



როგორც წესი, მეორე ვადით არჩეული აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია უფრო მოკრძალებულია, ვიდრე პირველი. შესაბამისად, როგორც ცერემონიის ორგანიზატორები აცხადებენ, წელს დაახლოებით მილიონ დამსწრეს ელოდებიან და არა რეკორდულ 1,8 მილიონს, როგორც ეს 2009 წელს, ბარაქ ობამას მიერ საპრეზიდენტო პირველი ფიცის დადების დროს იყო. ამასთან, ობამას წინამორბედის, ჯორჯ ბუში-უმცროსის ფიცის დადების ცერემონიას 2005 წელს 400 ათასზე ნაკლები ადამიანი დაესწრო. 2009 წლისგან განსხვავებით, წელს ასევე ნაკლები იქნება ოფიციალური წვეულების რიცხვიც – 2 და არა – 10.

აშშ-ის ისტორიაში რიგით 57-ე ინაუგურაციის ცერემონიამდე დაგეგმილ შოუს ამერიკელი მომღერალი ბიონსე გახსნის, რომელიც აშშ-ის ეროვნულ ჰიმნს შეასრულებს, ჯეიმს ტეილორი კი „ამერიკა ბიუთეფულს“ იმღერებს. შოუში მონაწილეობას მიიღებენ სხვა მომღერლებიც.

ამერიკული გამოცემა „ვიქის“ ინფორმაციით, საზოგადოებრივ ცერემონიაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ჯერ კიდევ 7 იანვარს დაიწყო და მისი ფასი 60 დოლარი იყო.

აშშ-ის ისტორიაში ინაუგურაციის პირველი ცერემონია 1789 წელს, ქვეყნის პირველ პრეზიდენტად ჯორჯ ვაშინგტონის არჩევის შემდეგ გაიმართა.

ტრადიციულად, ფიცის დადების შემდეგ პრეზიდენტი თეთრ სახლში მიემართება, სადაც მასშტაბური საინაუგურაციო მიღება ეწყობა, რომელშიც მთელი ქვეყნიდან ჩასული დელეგაციები მონაწილეობენ.

ბარაქ ჰუსეინ ობამა მეორე (დ. 4 აგვისტო, 1961) აშშ-ის პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამომდნარი წვეთი; 2. ზღვის დიდი ტალღა; 3. ყველაზე დიდი ნავთობის საბადო ყაზახეთში; 4. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. იტალიური ყველი; 8. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 17. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 18. ჭადრაკის ფიგურა.

**თარაზულად:** 1. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 5. ფინეთის პარლამენტი; 7. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 9. კენიის დედაქალაქი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 14. მინერალური წყალი სამეგრელოში. 15. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. მონასტერი სტეფანწმინდაში; 20. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ნათესავები დედ ჰასანის დაკრძალვის ადგილზე ვერ თანხმდებიან

მოსკოვის ტროეკუროვსკის სასაფლაოზე ორი დღის წინ ქალაქის ცენტრში მოკლული კანონიერი ქურდის ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, რომელზეც ახლობლები და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ე.წ. ავტორიტეტს გამოეთხოვნენ.



რუსული მედიის ცნობით, კრიმინალური სამყაროს მთავარი ფიგურის ნათესავები და ახლობლები მისი დაკრძალვის ადგილსამყოფელს ამ დრომდე არ ახმაურებენ.

„იზვესტია.რუ“-ს ინფორმაციით, შესაძლოა, უსოიანის ცხედარი თბილისში გადმოასვენონ, თუმცა, დაკრძალვის ადგილად ასევე სახელდება კრასნოდარის მხარე, მოსკოვი და ტოლიატი.

როგორც „იზვესტია.რუ“ იუწყება, უსოიანის დაკრძალვის ადგილმდებარეობის თაობაზე უთანხმოება თავად ნათესავებს შორისაც მოხდა. ნაწილი მხარს უჭერს „დედ ჰასანის“ საქართველოში დაკრძალვას, ნაწილი – არა, რადგან, შესაძლოა, კრიმინალურ ავტორიტეტთან გამოთხოვების ცერემონია საქართველოში ისეთი მასშტაბური ვერ იყოს, როგორიც – სხვაგან.

– საქართველო, – წერს „იზვესტია.რუ“, – ერთ-ერთია არცთუ ბევრ ქვეყანას შორის, სადაც კრიმინალური ქურდის სტატუსიც კი უკვე დანაშაულად ითვლება და საკმაოდ მკაცრად ისჯება. ბოლო წლებში ქვეყანა ყველა კრიმინალურმა ავტორიტეტმა დატოვა. იურიდიულად „დედ ჰასანის“ საქართველოში დაკრძალვასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნება, თუმცა მისი ახლობლების უმრავლესობა, კრიმინალური სტატუსის გამო, პროცესიას ვერ დაესწრება.

ხუთშაბათს, საღამოს, „დედ ჰასანის“ ცხედარი ნათესავებმა ტროეკუროვსკის სასაფლაოზე მდებარე სარიტუალო დარბაზში დაასვენეს, რომელიც ყველაზე მასშტაბურია მოსკოვში და 600 ადამიანს იტევს. პანაშვიდი სპეცსამსახურებისა და კრიმინალური სამყაროს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა.

სომეხი ექსპერტი სერგეი გალოიანი ასლან უსოიანის მკვლელობას რუსული კრიმინალური სამყაროს ქართული ფრთის ხელმძღვანელ ტარიელ ონიანის, იმავე ტაროს სახელს უკავშირებს.

„აღნიშნული მკვლელობა იმ ბრძოლის შედეგია, რომელიც კლანებს შორის გავლენის სფეროების მოსაპოვებლად მიმდინარეობდა“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს სომეხმა ექსპერტმა სერგეი გალოიანმა განუცხადა.

მისი თქმით, ქართულ კრიმინალურ ფრთასა და ასლან უსოიანის კლანს შორის ჩუმი ომი ჯერ კიდევ 2006 წლიდან დაიწყო, ოფიციალურად კი ამის შესახებ 2008 წლიდან გახდა ცნობილი, მაშინ როდესაც ქართული კლანის შეკრების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება „ბიზნესის დაწყების“ შესახებ. ამის წინააღმდეგ „სლავები“ გამოვიდნენ, რადგან ბიზნესი „ქურდულ კანონებს“ ეწინააღმდეგება.

სომეხი ექსპერტის თქმით, სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მათ კონტროლის დამყარება სოჭში ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე სურდათ.

გალოიანის თქმით, „დედ ჰასანის“ შემცვლელის ოთხი კანდიდატურა სახელდება, თუმცა მათ შორის სომხები არ არიან.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის ცენტრში „დედ ჰასანის“ სახელით ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ასლან უსოიანი 16 იანვარს მოკლეს. თავდასხმა მაშინ განხორციელდა, როდესაც ის ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდა. 1937 წელს საქართველოში დაბადებული უსოიანი რუსეთის ფედერაციაში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**